

რუსულან ჩუბინიძე

წერდას

ხველება

თბილისი
2018

დამკაბადონებელი

თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-9566-9-0

ჩემს შვილებს

ირინას, სოსოს, ნინოს

ნიგნი ჩემი პირმშოა, ისევე, როგორც თქვენ. ის ჩემი
გულის ტკივილის განსაკუთრებული გამოძახილია!

შეიყვარეთ. გაუფრთხილდით. გულითად ძმობას
გაგინევთ და ცხოვრებაში ყოველთვის იგრძნობთ რა
მყარი დასაყრდენი გიდგათ მხარში!

გახსოვდეთ: 1) ბუნებაში არ არსებობს არაცოცხალი!

2) თუ გინდათ რამე მიიღოთ, უნდა გასცეთ!

გავა დრო: მე აღარ ვიქნები და თქვენ შეიცვლებით.
მაშინ განსაკუთრებული შთაგონებით ამეტყველდება
თქვენთვის ნიგნის ყველა სტრიქონი!!!

მე ყოველთვის თქვენთან ვიქნები!

1.06.2017



ჩემი პირმშო ხარ,
ჩემი შვილი...
ღვთის მადლის ნება.
ჩემი — სიცოცხლის გავრძელება
და უკვდავება!

დარღი

რა ვიღონო
აღარ ვიცი,
ვერ შემიკრავს
აზრი წიგნად.
თუ ხუნტრუცა
ჩემი კვიცი,
მერანივით
არ გაფრინდა!
რომ შეიგრძნოს
დრო და სივრცე,
რომ სილალით
შლიდეს ფაფარს,
თავანყვეტას
თავი მისცეს,
დრო ჟინიანს
მიჰყვეს სწრაფვას!
რომ სილალის
ფრთათა ღელვა,
აფრებივით აიმართოს!
რომ შევიგრძნო –
- ა, ეს მე ვარ!!!
და წელშიაც გავიმართო!!!



ამირან!

აი, ეს არის სისხლი და ხორცი,
როცა ენთები, იწვი და ღელავ,
როცა ზეცაში ვარსკვლავებს კოცნი,
მიწას შერწყმიხარ ბალახის ღერად,
როცა მზის სხივი წყაროსთან ანცობს,
დრო ვეღარაფრით კურნავს იარებს,
როცა შეიგრძნობ, რომ დარჩი მარტო...
და რომ ძალიან დააგვიანე!!!



იდუმალება

იდუმალება გვიხმობს,
იდუმალება წაგვშლის,
იდუმალება მოსვლის,
იდუმალება წასვლის.
იდუმალება სტროფის,
იდუმალება კალმის,
იდუმალება სივრცის,
იდუმალება წამის.
მარადისობის კანონს
ქვეყნად ვერავინ არღვევს,
ყველა დარღობს და ნანობს,
ნაღველს უმატებს ნაღველს.
იდუმალება წამის
ბოლოს ყველას რომ გვიხმობს,
ვიღაცა ხსოვნას დალევს,
ვიღაც შენდობას ითხოვს!!

მელოდია ჭყის

წკაპ, წკაპ, წკაპ,
 იმღერიან წვეთები.
 ტრამ, ტრამ, ტრამ,
 აქ სიყვარულს შევხვდები.
 შარი, შური, შარი,
 ფოთოლი ტყის ქნარი,
 კოცონი და ხმალი,
 მარილი და წყალი,
 დელი, დელი, დელი,
 ოცნებები ძველი.
 გაფრენილი ჩიტი.
 გაბნეული მტვერი
 დარი, დური, დარი,
 ეს აშარი ქარი
 ხან მშვიდი და წყნარი,
 ხან გიჟი და მთვრალი.
 წკაპ, წკაპ, წკაპ,
 შარი, შური, შარი.
 დელი, დელი, დელი.
 დარი, დური, დარი.
 წვიმა, ტყე და ყვავილები,
 აგვისტო და წყალი,
 ოცნებები, ლეგენდები,
 ბურუსი და ქარი.



გზა

მუხა მეფეა
ყოველთა მოდგმის ხეთა.
ქალაქთ მეფეა – თბილისი
იყო მცხეთა.
ვით ხმალთა შორის
ხმალი უმლესი ხმალთა.
უმოწყალესი გვფარავს
ღვთისმშობლის კალთა.
უსათუთესი –
მოსიყვარულე გული.
უძლიერესი იყო, იქნება ფული.
უწმინდესია —
უსპეტაკესი გრძნობა.
უმძიმესია —
დაუღვრელ ცრემლთა გროვა.
საქმე კეთდება
თუკი ვეწევით ჭიქებს?
გაზაფხული ხომ
მერცხალსაც აჭიკჭიკებს!
გრძნობათა შორის
მეფობს შულლი და მტრობა.
სიცოცხლე მიდის, მიდის და
კვლავაც მოვა!!!

კავშირი

გარჯის გარეშე არ არსებობს დამსახურება,
სუყველაფერი მიღწეული, - იღწევა ტანჯვით.
ცეცხლი რომ გვითბობს, საწვავი ხომ ნაცრად იქცევა
ბოლი კი, სათუთ ფიგურებად ზეცაში გარბის.
და ამაღლებას – დაცემა აქვს ჯერ ქვაკუთხედად.
ყველა სიმაღლეს, მუდამ სიღრმე ედება ფუძედ,
თუ არ დაყნოსავ მინას მადით, თანაც მაძლრისად –
- ვეღარ აღიქვამ სრულ სიტურფეს ცის სიმაღლისას!!!

პოტენციალთა სხვაობა ქმნის სიდიდეს ძაბვის
და მიღწეულის სიხარული – ხსნის ტკივილს დაღლის!



როცა რამა გთყინს

როცა რამე გწყინს,
როცა ძლიერ წვიმს,
სამყაროს ფარავს,
როს წვიმის შირმა,
როცა ხალისი
გულში ჩუმად თვლემს,
მარტო ტკივილი
გტკივა და გტკივა,
როს ფანჯრის მიღმა,
ბინდ-ბუნდის ფონზე,
იღვენთებიან წვიმის სვეტები,
როცა მარტო ხარ,
მარტო ხარ სულმთლად
და მაინც, ვერსად
ვეღარ ეტევი!
როცა ვერ გზღუდავს
აზრი და ზღუდე,
როცა ტკივილის
ბუნიობს ბუდე,
როცა ტკივილი
გაწვიმს და გტკივა-
გულის ცრემლებად
იღვრება წვიმა.

ლურჯის სურათები

მე შენ გიყვარდი, გენატრებოდი,
 შენ არ მიცნობდი, ჯერ კიდევ როცა.
 როცა სამყაროს სივრცეცეს უგულოს
 სალბუნს ავლებდა ჯვარცმულთა ლოცვა.
 თავს ევლებოდი ველებს და კორდებს,
 ვარდს დაყნოსავდი – სხვა გრძნობა გწვავდა,
 სუნთქვა გათრობდა აპრილში ნუშის,
 და ნუშის სუნთქვა – ჩემს სუნთქვას ჰგავდა!
 უალერსებდი თეთრკაბა ჩანჩქერს,
 ტალღათ ლიცლიცში ნაკვთებს არჩევდი,
 ჩაჰკონებიხარ აპეზარ ნამქერს,
 ამ ორგულობას – ვით შეგარჩენდი?!
 შენ ნოსტალგიის ჭაობი გნოქავდა.
 მაშინ ჯერ კიდევ, ჯერ კიდევ როცა,
 აბა ის ქალი მე რატომ მგავდა?!
 ან რად მოგინდა შენ ჩემი კონცა?
 თავს ევლებოდი ველებს და კორდებს,
 ვარდს დაყნოსავდი – სხვა გრძნობა გწვავდა.
 სუნთქვა გათრობდა აპრილში ნუშის,
 და ნუშის სუნთქვა ჩემს სუნთქვას ჰგავდა!

არსი

როცა მარტო ვარ
დავვიწყებივარ ღმერთსაც,
გავახსენდები
მოშურნესაც და მტერსაც.
ლალი სიცოცხლის
შხამად ვისრუტავ წამებს:
ან მეხი მომკლავს,
ან ნიაღვარი წამლევს.
დაუნდობელის
მთენთავს სატანის ძლევა,
მარტო ფიტული
იქნებ გოლიათს ვგევართ?!
ვებრძვი, ვამარცხებ
ხვალ ისევ ბრძოლა მელის!
სარეველასებს
უფრო მრავლდება მტერიც.
პრობლემები რომ
აიკინძება მძივად,
მწარე ცხოვრების
ყველა ტკივილი მტკივა.

ღმერთმა ამ ქვეყნად
მხოლოდ იმისთვის შეგვქმნა,
რომ შევეწიროთ
გამომსასყიდში მსხვერპლად!

იმართი

აზვირთებული ცათამბჯენები მთების,
 მთაგრეხილები ჩაგრეხილები წნულად,
 ლალად გაშლილი უძლიერესი ფრთებით
 ერთიმეორეს გადახვეულნი ძმურად.
 ცა გამჭვირვალე და მოკამკამე ლურჯად,
 ხან ბებერივით ნისლმობურული მთები,
 წელს ქამარივით შემოვლებული ბუჯა,
 დაუსაბამო და უსასრულო გზები.
 ცრემლმორეული თვალით შევყურებ ზეცას,
 მხრებზე მაწევს და მკეცავს სიმძიმე წლების,
 ზღვა წვეთით არის, ზღვაში წვეთი ვარ მეცა,
 ოსტატი თიხით სასურველ ფორმად ძერწავს!
 აქაფებული მთაგრეხილები წლების,
 შეგრეხილები უსურვაზივით წნულად,
 ლალი ბავშვობის წლებით ასხმული მძივი,
 აქ ხმელეთ ზურმუხტს – ზეცა ფირუზი ქუდად.



ზარდის მიღვა

აღარც აისბერგები,
აღარც ჭები ულევი,
აღარც თავბრუ დამხვევი,
გრძნობის თაიგულები.
იდუმალი ჩურჩული
ალმოდებულ ბაგის,
გული კედლებს ასკდება
უგზო-უკვლოდ დარბის.
ჩაფერფლილა კოცონი,
მზეც ჩამწვარა თითქოს,
აგვისტოა. სიცივე
ძვალსა და რბილს იპყრობს.
ჩიტი გალობს უხმოდ,
ხე შრიალებს უცხოდ,
ლაპირინთებს ძლიერს
მუდამ სუსტი უთმობს.
და მესამე მიდის,
გადებულა ხიდი
ტკივილსა და წუხილს
ეფარება ბინდი!

სადაზღულობა

ვხედავ მოგბეზრდი.
 რაგინდ ძვირფასიც
 ბოლოს და ბოლოს
 მუდამ ბეზრდებათ.
 მიწიერ ყოფით
 ძველბედა ხეც, ქვაც
 და გატაცებაც
 ასე ბერდება.
 დიდი ხნის შემდეგ
 ძველდება ღვინო,
 იზრდება ხავსი,
 წყალი მყაყდება.
 ნუ ხარ მაცდური
 შენ მოლოდინო!
 მკვდრეთით სიცოცხლე
 ღმერთით აღსდგება!
 არ აყვავდება
 სიცოცხლე მარტო,
 მძიმე სნეული
 უფლით მორჩება.
 არ გამოისხამს
 ხმელი ხე ნაყოფს.
 აღარც ფოთლებით შეიმოსება.
 არ გათეთრდება ყორანი ქვიშით,
 წყალი სანაყში არ ინაყება,
 ყველა ოცნება ფრთას ისხამს ძილში
 და განთიადში აისახება!!!



* * *

მარტოობისთვის
გულს რად იჭამ
მყივნარო ნეტავ?
ვინც მარგალიტად დაბადებულა –
- დარჩება კენტად!
მარგალიტი ხომ სიმბოლოა
მხურვალე ცრემლის, -
- ცრემლს მარტოობა უხდება და
ძალიან შვენის!

ძეთიას

ჩემო სიცოცხლევ და ჩემო სიხარულო,
ჩემო სიწმინდევ და რწმენავ,
ჩემო ოცნებავ და ჩემო სიყვარული,
რჯულო, მამულო და ენავ.
ჩემო ნატვრის თვალო,
ჩემო გაზაფხულო,
ჩემო გაღვიძებავ ვაზის.
ჩემი ოცნებების ტალღავ ასახულო,
ნამწამს მარგალიტი აზის!



გუჯა

თვალს ვახელ სისხამზე
მივყვები ბილიკს
დავეძებ წარსულის
სითბოს და ღიმილს
რაკრაკით, მკლავგაშლით
შემხვდება ბუჯა.
სულ განსხვავებული
კბილები უჩანს.
მიღიმის, თვალს მიკრავს,
მიმღერის, მიხმობს,
ფსკერიდან ბავშვობა
მიყურებს თითქოს.
ზედაპირს დაჰკვრია
ტალღათა ბადე,
ლიცლიცი უამრავ
უცნებას ჰბადებს.
ჩაწერა ტალღათა
უგრძესი რიგები...
ბავშვობის ოცნებებს
არ აქვთ თანრიგები!
სილალე, ანცობა,
ბავშვობა ტებილი.
ბუჯის წყნარ ტალღებში
ცოცხლობს და ღვივის!

მაზღაპრე მთვარე

ცას ვარდისფერი სიზმრების
უტყვი მეზღაპრე მთვარე
გამოჰკვრია და ღიმილი
არ ახუჭინებს თვალებს.
წყარო კუნტრუშებს რაკრარებს
სხივებს ჩამოჰბანს პირს,
დარბაისელი მუხა ფლობს
არაკს მთვარის და მზის.
დილით ერთმანეთს უღიმის
მზე და პირბადრი მთვარე,
დაღონებია ღიმილი
მის მოციმციმე თვალებს.



შენი სურათი

შენი სურათი დამდევს და მიცდის.
ცას ვარსკვლავებს და განთიადს მიწვდის.
ნაირფერ ყვავილთ უდიდეს კონას,
ახშობს ულმობელ დროთა სვლის ქროლვას,
შლის ნოსტალგიის საშინელ ბუდეს,
სწვდება სივრცეთა მიუღწევ ზღუდეს.
შენი სურათი დამდებს და მიცდის.
გრძნობით ენთება, ფეთქავს და იწვის.
შენი სურათი – ხიდია მიზნის.
ის ზღვა სიყვარულს იღებს და მიძღვნის.

როცა მარტო ხარ

როცა ფიქრებთან ფრინავ,
როცა მარტო ხარ შენტვის,
ირგვლივ ყველაფერს სძინავს,
და სუნთქვა სუნთქვას ერთვის.
როცა ნატრობ და ელი,
როცა ტირილი გშვენის,
როცა ოცნება ძველი
შენში გალობს და მღერის.
თანამგზავრად გყავს ღამე,
გიძლვნის ბედნიერ წამებს,
როცა მარტო ხარ შენტვის
და სუნთქვა სუნთქვას ერთვის.



ნუთისოფლის ეტლი

დრო ჭენებით გარბის,
არ მელევა დარდი.
ზოგი ეკლის კრეფით,
ზოგიც კიდევ – ვარდის.
განუსაზღვრელ სივრცის,
განუზომელ დროში,
მიუწვდომელს ფიქრით,
მიუღწეველს გროშით,
შემაგებებს სწრაფად
ნუთისოფლის ეტლი.
რაც სათქმელი დამრჩა
უსათუოდ გეტყვით.

დავით მჭედლურს

ჰორიზონტის მიმართ კარგად
ჩანს კუთხური ამაღლება.
მე არც ოპერატორი ვარ,
არც ვაპირებ გადაღებას.
ტელეფონის გვერდით ზიხარ,
დუმს საქმე და რეკავს ზარი.
არ გაცდიან ფიქრით დაღლას
დამნაშავე არსად არის.
დრომ დაგლალა, ვეღარ ასწრებ,
მერე სწუხან, მერე უკვირთ.
აბა, როგორ განისაზღვროს
სიმაღლე და აზიმუტი?!



დამდევს და მიცდის

მიაღწევს ზენიტს – უფსკრულს ეშვება,
ზეცას მოსწყდება, როგორც ვარსკვლავი,
ნამოიჩოქებს – მკვდრეთით აღსდგება,
არ ეზოგება სული და თავი.

გაზაფხულივით დარაჯობს ყინვას
და იასავით ღიმილით ჩნდება,
ყოველ შეგრძნებას ფრთებივით ახლავს
ჩემი სუნთქვა და ჩემი ოცნება.
სიცოცხლის რწმენა და აზრი მისი,
რომ მეც შვილი ვარ ცისა და მიწის,
რომ სიყვარული არ მტოვებს მარტო,
რომ სიყვარულიც დამდევს და მიცდის!

განთიადი

იკვეთება კონტურები
მზე სხივს სტყორცნის ალმაცერად.
ცა იხსნება, ფერებს იცვლის
საამოა თვალსამზერად.
მთვარის შუქით ნაფერავებს
ჰაერს ჰკვეთავს ცისკრის სხივი,
როგორც გრძნობის სილამაზე
კურნავს ყველა გულისტყივილს.
შესუდრულა ზეცა ლურჯად,
ტყვიისფერი გასდევს ზოლი,
განფენილა ბლუჯა-ბლუჯად
სხივთ კონები არატოლი.
იკვეთება კონტურები,
მზე სხივს სტყორცნის ალმაცერად,
განთიადის სილამაზე
საამოა დასამზერად.



ქედმაღალ წამნამებს

ქედმაღალ წამნამებს,
ნაქებს და ნაწამებს,
(ველოდი ამ წამებს),
ცრემლებით ვნამავდი.
ვეტრფოდი, მჯეროდა,
ოცნების ღეროთა,
სუნთქვაც კი მღეროდა,
სულ ბოლო წამამდი.
აქაფდა ზვირთები,
თეთრფრჩილა თითებით,
ზღაპრული მითებით
უფლისწულს მალავდი.
ქრები და ინყები,
კვლავ აკვნად ირწევი,
და ზეცად იწევი,
თავიდან თავამდი.
ქედმაღალ წამნამებს,
ცრემლები აწამებს
და ლოცვად კამკამებს,
კარიდან კარამდი.

სად ხარ, სად?

აწეულა გრძნობა ზეცად,
აღრუბლულა, აზვირთულა,
მთად გაჭრილა ჯიხვად, ვერძად,
ხევებს იქით გარინდულა.
სად ხარ, სად ხარ, სად? გუგუნებს
გლოვის ზარი დღე და ღამე,
მენატრება სანუკვარი,
შენი ხმა და სითამამე.
მოკამკამე ტალღათ ქულებს,
ამღვრევია მეტად ფერი.
ლელვა, ნატვრა და დუმილი,
არეულა ყველაფერი!
ზარები კი გამყინავად
რეკენ, რეკენ, რეკენ გულში,
სად ხარ? სად ხარ? ზარი გლოვად
მოდებულა მთელ სხეულში!



შენ ვინ დაგაჯერა

შენ ვინ დაგაჯერა,
რომ არ მენატრები?!
შენ ვინ დაგაჯერა,
არ მიყვარდე თითქოს?!
შენი კოცნის უინით
სველი ჩემი ტუჩი
გამშრალა და ისევ
დასველებას ითხოვს.
შერჩენია, როგორც
ფერდობს ძველი თოვლი,
ბაგეს, შენი ბაგის
არომატის სიტკბო.
ჩაფერფლილა ცეცხლი,
მოგიზგიზე ალი,
მძინარივით ახლად
გაღვიძებას ითხოვს!
ვერცხლისფერი თოვლით
შესუდრულან მთები.
თოვლის ვერცხლისფერი
დასდებია მთებსაც,
ვერცხლისფერი ქროლვა,
ვერცხლისფერი წლები,
ვერცხლისფერი გრძნობით
მოვერცხლილი ზეცა.
ჩემო განუყრელო!

დაიბერტყე თოვლი,
როგორ დაიჯერე,
არ მიყვარდე თითქოს?!
მენატრება ძლიერ
შენი კოცნის უინი,
გამომშრალი ბაგე
დასველებას ითხოვს!





პავანი ცაში

ტკბილი ხარ და სანატრელი ძლიერ,
გამქრალია ვინაობის რწმენა,
შენს აჩრდილს მე საუკუნე ვსდიე,
ეტყობა ვერ დავწეულვარ ჯერაც.
ანდამატი ღვარცოფივით მითრევს,
მომნუსხველი შემაჩერებს მზერა,
რაა წლობით ღამეებს რომ მითევს,
არ ვიცი, ვერ გავრკვეულვარ, ვერა.
რა ვუშველო გაჭენებულ მერანს,
მოევლება უფსკრულებს და ზღვებს,
ქარტეხილებს ევლინება რწმენად,
ქადაგივით ოცხადება მრევლს.
ყალყზე შემდგარს შემართებულს ზეცად
მოჭიხვინეს, ლაგამახსნილ რაშს,
არ აბრკოლებს რეალურის რწმენა,
ოცნებათა ცვენა უკრავს ტაშს.
აჩრდილს დავდევ ათინათის დარად,
პაემანზე შევიყრებით ცაში,
აჩრდილებზე მონადირე მარად,
სიყვარულის მოჭიხვინე რაში!



* * *

ქროლვა, ეფემერების
ფრთათა ქარის, მაშინებს.
მენატრები, ძილშიც კი
გიხმობ, გეძებ მაშინვე.
როგორც ეფემერიდი,
ფრთათა სიოც მაქანებს,
ძილშიც გეძებ, გეძახი,
რად არ სჩანსარ აქამდე?
ოცნებათა რიდენი
მეხვევიან თავნებად,
ზღვაა, ზღვაა იმდენი,
რომ არ ამოთავდება,
მაგრამ როცა თავდებად,
მიდგას გრძნობა ეული,
როგორც ჩვილი პატარა,
როგორც სული გრძნეული,
გრძნობის, ეფემერულის,
ქროლვა მბურავს ლანდებად.
მეტმასნება რიდენი,
სპექტრი უცებ შავდება.

მენათრეპი

მენატრები, როგორც გიჟი
და თითებზე ვითვლი წამებს,
მენატრები, როცა მიშლი
(ვნება რარიგ გათამამებს!).
მენატრები, როცა მიცდი,
თან ფილაქანს ტკეპნი ბოლთით,
მოლოდინის დამღლელ ფიქრში,
ზღვა ვნებებით სავსე ბოთლით.
მენატრები, როგორც გიჟი
და თითებზე ვითვლი წამებს.
როცა ბროლის სავსე ფინჯნით,
ყველა ტკიცილს დამიამებ!



გელოდი

გელოდი, გეძებდი, გელოდი,
მიყვარდი, მჯეროდა, მნამდა,
გიცნობდი, მათბობდი, მეძახდი,
მათოვდა და გრძნობა მწვავდა.
მალბობდა წვიმა და
მაშრობდა მზე,
უსაზღვროდ გელოდი მე.
გალობდა ბულბული, მღეროდა რუ,
კიოდა ლამ-ლამით ჭოტი და ბუ,
გელოდი, გეძებდი, გნატრობდი სულ,
და გული ელოდა გულს.
ხუჭუჭა ყვავილი ულიმის მზეს,
ზვირთი ზვირთს ედება, მთა ებმის მთებს,
გელოდი, გნატრობდი, გიხმობდი მე,
წელი მიჰყვებოდა წლებს.
მაზრობდა ყინვა და
მათბობდა მზე,
უსაზღვროდ გელოდი მე.



უცხო ჩვენება

უცხო ჩვენება
ფერიებად, ანგელოზებად,
ფრთები, ოცნება,
საოცარი ზღაპართ სამყარო,
ხარ შთაგონება, ილუზია თუ გაოცება,
ეს შენ ხარ, შენ ხარ,
აღარ ვიცი რას შეგადარო!
ღვთის წყალობა ხარ,
ზვავ-მოვარდნილს ჰეგავხარ ნიაღვარს,
ხარ საოცრება,
მსგავსი არსად რომ არ მინახავს.

სწორედ იმიტომ არის ქვეყნად
თვით საოცრება,
აუხდენელი რომ არ დარჩეს
ყველა ოცნება!



დაისი

ჩამავალი მზის სხივების
კაშკაში და ელვარება,
ღრუბელს ავლებს ცეცხლის მაქმანს,
არ აპირებს შებრალებას.
ალმოდებულ, მბრნყინავ ღრუბელს
დაჰკაშკაშებს ცეცხლის ბადრო,
დაფოფინებს, თავს ევლება,
ეტრფის, ნატრობს, ეტრფის, ნატრობს.
ბადრო იწვის, ცეცხლი ღვივის,
ბრნყინავს ზეცა ალისფერი,
ცეცხლის ალში გასვეულა,
ყველაფერი, ყველაფერი!
გარინდულა ცის ტატნობი,
წვა გრძელდება უსასრულოდ,
მზევ, ოცნება სიყვარულის,
არასოდეს დაასრულო!



* * *


სულ ამაოა
უმეცრების
ყოველი განსჯა.
არის გაფლანგვა ძვირფას დროის
და ფუჭად ხარჯვა.

* * *

მუდამ გამოცდას
ვაბარებთ,
განგება გვიწყობს ქველი.
თვითონ შორიდან ხარხარებს,
თუ გვეცარება ხელი!

* * *

რა დედამ გშობა
რა ძუძუ სწოვე,
რა ხელთუპყრელი
საუნჯე ჰპოვე?!
ია და ვარდის
ღიმილის ბალჩა,
დაგეფინა და
ბაგეზე დაგრჩა!!!



მა რომ ვუყვარდე

მე რომ ვუყვარდე,
ცა ცრემლებით
არ იწვიმებდა,
მთვარეს ზილკავთა
დაათრობდა
ხვევნის წყურვილი.
მე რომ ვუყვარდე,
უკვდავება
გაიცინებდა,
მზის სხივს, მთის წყაროს
დაქანცავდა
ტრფობის სურვილი.
მე რომ ვუყვარდე,
ქვეყნად ცრემლიც
არ იტირებდა,
თვით სიყვარული
დათრგუნავდა
მახვილს და მტარვალს,
მე რომ ვუყვარდე,
ღმერთი რისხვას
ააცილებდა,
მთელი სამყარო
ჩაიცვამდა
სიცილის კაბას.



თვალს არ ვახელ

თვალს არ ვახელ,
რომ არ გაქრეს ზმანება,
მეტკინება,
მწარედ დამენანება.
ეგ სათუთი
და ველური შეხება,
დაჩუხჩუხებს,
მოშუშხუნე შხეფებად.
მეწაფები,
თვალებს ვხუჭავ, ვერ გიმზერ,
გინდა ბაგეს
მოაშორო
დედის რძე,
თუ გაქრება.
ეს გიუური
ზმანება,
მეტკინება,
მწარედ
დამენანება.
მეზარება,
ვწევარ,
თვალის გახელა,
განა მართლა
მღვიძავს,
მძინავს ნახევრად.

ქარი

ქარი მეტრდვის, კაბას მახევს,
 თვალებს მივსებს ქვიშით,
 ჩამსისინებს ნიშნის გებით,
 ქიში, ქიში, ქიში!
 ბოროტია, ულმობელი,
 ღმერთი სულაც არ სწამს,
 წვრილქვიშების წვეტა წკეპლით
 სახეს მწვავედ კანრავს.
 ვეჭიდები, მავსებს ქვიშით,
 ჩემს უკანსვლას ცდილობს,
 ჩამსისინებს — ქიში, ქიში,
 საქმე გაგიჭირო.
 ცივსისინა მისი წკეპლა,
 სახეს მიწვავს ძილშიც,
 ჩამსისინებს გველსისინა —
 ქიში, ქიში, ქიში!



ციდან მოვედი

ციდან მოვედი
წვიმად და სეტყვად,
ჩემი სათქმელი
როგორმე მეთქვა,
ფიფქი და ელვა,
დრტვინვა და ღელვა,
ყვავილთ სურნელი,
ფოთოლთ შრიალი.
ვარ ფრთათა შესხმა,
უთვალავ შერწყმათ,
მე ვარ ფიალა,
რაც უნდა შესვან,
ქალალდზე ვრჩები
რითმად და ლექსად,
თუ არ წამლეკავს,
ცა, ღრუბლიანი.

შესანირი

ამეცნიატა აკად,
თან აჩდილივით დამდევს
ფიქრი, წყენა და კითხვა
ლიტერატურულ გაზეთს.

მე შეიძლება ვიღაცას ვგავარ,
მაგრამ მეობა მაინც მაქვს ჩემი,
მე შეიძლება წამილოს ქარმა,
მაგრამ მიწაზე კვლავ მყარად ვდგები.
მე შეიძლება მოვკვდე, გავცოცხლდე,
ვთქვათ კაეშანის დამნისლოს წვიმამ.
აქაც არ ვიყო, იქაც არ ვცხონდე,
მე ვიცი რა ვარ, მე ვიცი ვინ ვარ!
მერე, როს დროის უწყვეტი სხივი,
ჩემს საუნჯეში ნათელს შეიტანს,
სული გამყინავს გამოსცემს კივილს
და უკვდავებას ჩემს სულს შევწირავ!

80 ფურცელი ვარ

მე ფურცელი ვარ,
უწერელი
და უსახური.
მე გონება ვარ,
ხალხის მონა,
მისი მსახური.
ცივი წყარო ვარ,
მთის, ანკარა,
სასმელი პეშვით.
რა სიმაღლიდან,
რა სისწრაფით,
როგორ დავეშვი!
მე ხომ ბგერა ვარ!
სულ ჟღერადი,
ქცეული ჰანგად,
ჩემი მუსიკა,
მიმოფანტა
სივრცეში ქარმა.
მე ღიმილი ვარ,
მე სუნთქვა ვარ,
ცეცხლმჭრელი ხმალი.
წყალთამპობელი,
მომზირალი
არწივის თვალი.
მე ყვავილი ვარ,
სურნელება
იფრქვევა ხუნდად,
რომ მოგეწყვიტე,
დამყნოსავდი
როცა შენ გსურდა!

მა და დრო და მა და სივრცე

მე და დრო და მე და სივრცე,
 მოვლენილი ფალავნებად,
 მე და დრო და მე და სივრცე,
 თვალის ერთი გადავლება.
 უგუნურთა ხვედრი გვამკობს,
 სხვას, დროებას, რა სვლას მისცემ,
 უამ-ბობოქარს ვერწყმით აწმყოს,
 მე და დრო და მე და სივრცე.
 ეს სამყარო უთავ-ძირო
 ჩაწყობილა ბილიკებად,
 ზოლი დროის, უნაპირო,
 გასდევს მხოლოდ მინიშნებად.
 მე და დრო და მე და სივრცე,
 მოვლენილი ფალავნებად,
 მე და დრო და მე და სივრცე,
 თვალის ერთი გადავლება.



ჩევდეს სიცოცხლე!

დაე, სიცოცხლე ჩქეფდეს, მღეროდეს,
უკანასკნელი ლერწმის ღერომდე,
როცა სიცოცხლეს ფერს უცვლის ვნება,
როცა სიცოცხლე, სიცოცხლეს ხვდება.
დაე, სიცოცხლე ჩქეფდეს, მღეროდეს,
უკანასკნელი ლერწმის ღერომდე,
დაე, სიცოცხლე ჩაწვდეს გულამდე,
ლერწმის ყელიდან სალამურამდე!

გალაკტიონის

„...მაქვს მკერდს მიდებული
ქნარი, როგორც მინდა“.
გალაკტიონი

შენს ლურჯა ცხენებს
ბეწვს უშლის ქარი,
ხეთა რიგებს რომ
გადახრის რკალად,
მთაწმინდის მთვარე,
სავსე და მწყრალი,
აღარ განებებს
ჯადოსნურ კალამს.
ხმაურს არ სწყვეტენ
განგაშის ხმები,
ერთი შეხედვით
გლოვას რომ ჰგავდა,
დღესაც ჯვარს იწერს
რამდენი მერი,
ისეთი, როგორც
შენ მუზად გყავდა.
ატმის ყვავილებს
მოჰგვარე ცრემლი,
ობლად დასტოვე
აქ „მე და ლამე“,
შენი „ვერხვები“ და „ნიკორწმინდა“,
„გურიის მთები“ და „მესაფლავე“.
როცა ნიავი კალთას ეხება,
როცა გუგუნებს მძლავრად სიონი,
ეს, უკვდავება
დგას შენს ფეხებთან,
ეს, ასე სუნთქავს
გალაკტიონი!



ეს პვირაც გაივლის

ეს კვირაც გაივლის
ნაღვლიან ზმანებად,
ჩადგება კარებთან
ფიქრების ამქარი,
სურთ ზეცაც დაკაწრონ
განგაშის ზარებმა,
ქვესკვნელი გრგვინავდეს -
აქ არის! აქ არის!
ეს კვირაც გაივლის
ტალღათა გრიგალში,
ნატვრათა უფსკრულებს
დაუხშობს კარიბჭეს,
ჩადგება კარებთან
ფიქრების ამქარი,
რომელიც სიცოცხლეს
სრულყოფას ანიჭებს.
ეს კვირაც გაივლის,
ვეძახი ქარიშხალს,
ჩანჩქერთა დალალებს
ჩავუნწვავ ზედაპირს
და მთელი სამყარო
სულ წამით გაჩერდა...
თანადადგომია
გულის ამ შეძახილს!

ჩემი ოთახი

ასე უსინათლო,
ჩემი ოთახია,
ჩემი ცხოვრებაა,
ზღუდეს გადასული.
ჩემი თანამგზავრი
არის წოსტალგია,
ჩემი სიცოცხლეა
ამით არასრული.
ასე უსინათლო,
ჩემი ოთახია,
მარტო კაეშანი,
მუდამ მარტოსული,
ჩემი სიხარული,
ქვათა სამარხია,
ყველა ოცნებაა
მასში დამარხული.




ქვათა სიგვორია

ირგვლივ საოცარი
სუფევს ჰარმონია,
ქვათა სიმფონია
გვიხმობს უახლესი.
ქვეყნად არასოდეს,
არსად არ ჰქონიათ,
გამათ შეხამება
უფრო უმაღლესი.
ქვაში ჩაკირულა
გენთა სიდიადე,
მიდი, ახლოს მიდი,
ქვას ყური მიადე,
ქვაში ჩაქსოვილა
გრძნობათ ნეტარება,
რთულზე ურთულესი
აზრთა შედარება,
ქვაში ჩატეულა
ჩვენ რომ არ გვქონია,
უფრო საოცარი
გამათ ჰარმონია!

მოგონება

გახსოვს ფოთლები არწევდნენ აკვანს,
 წენდა კულულებს აშარი ქარი,
 და ქროდა, ქროდა, ისე ამაყად,
 გეგონებოდა უგონოდ მთვრალი.
 გახსოვს, ქვა იყო ცივი და სველი,
 მე გვერდით მყავდიჩემი ღვთაება,
 როგორ ხლართავდა ობობა ქსელს და
 თვითონვე ქსელში როგორ გაება.
 როგორ ლამაზად გალობდა ჩიტი,
 როგორ ყვიროდა ირემი ტყეში,
 ხნულს რომ ავლებდნენ რკინის ფრთოსნები,
 შენ ვარდი როგორ ჩაგაჭკნა ხელში.
 გახსოვს, გვართობდა ქარი და სუსხი,
 და სიყვარულის არწევდა აკვანს,
 როგორ ყვაოდა აპრილში ნუში,
 და ქარს მერანი მიჰყავდა სადლაც.



მიხედა და მოვალ

მიხედე და მოვალ,
 სეტყვა და თოვა,
 ელვა და მეხი,
 ჩემივე ფეხით.
 სითბო, ღიმილი,
 ჩემი ტკივილი,
 დოლი და რთველი,
 დაძახილს ველი,
 უკუნი ბნელი,
 ალმური მწველი,
 ივსება აფრა,
 ძალიან სწრაფად,
 დაპძერავს ქარი
 იპობა წყალი,
 ორმხრივად მასა,
 ეხვევა მასრად,
 ზღვის თეთრი ქაფის,
 ზურნა და დაფი,
 თან ფიფქთა ფარდა,
 იშლება მარდად,
 ფანტელთა ბადე,
 ოცნებად დამდევს,
 გული კვლავ იწევს,
 ოცნებებს იწევს,
 მითხარი რამე,
 დასრულდა ღამე,
 მიხედე და მოვალ,
 ელვად და ქროლვად!



სად მთავრდებიან, ვინ ნახა ნეტავ,

ლალი ბავშვობის სულტკბილი წლები,
როდის გადაგვსხამს კალთიდან დედა,
თვითონ დიდები როდისღა ვხდებით?
როდის ელება ოცნებას ბოლო?
ჩამოვარდება ვარსკვლავი ციდან,
როდის აღარ ვართ თითისტოლები,
ცეროდენები, ან თითოციდა.
მოულოდნელი, დაუნდობელი,
როდის ჩაგვიკრავს გრიგალი გულში,
უბინოების ნათელი სხივი,
გვაცისკროვნებდა ჯერ კიდევ გუშინ.
ვინ იცის სად დევს დიდი სამანი,
რომელიც გაჰყობს სიცოცხლეს ორად,
იქით ბავშვობა გვიღიმის ლალი,
აქეთ დიდობის მარწუხთა გორა.

მონატრეპა

მე რას შევადარო შენი მონატრება,
 ცრემლი, ტკივილი და სევდა უმძიმესი,
 მზერას შეეჩვით ეს ცრუ მოლანდება,
 იგივ ტკივილია დიდზე უდიდესი.
 ცრემლი დაეკიდა წამნამს, ცათამზირალს,
 გულს შემოჩვევია ტალღა მონატრების,
 გული-ბობოქარი, როცა ტკბილად მძინავს,
 თბილად ეგებება ხილვას მოლანდების.
 ტალღებს მოსურვნიათ ზვირთად შეგორება,
 ექო ახმოვანებს ნაცნობ შეგონებას,
 ეხი შეიკედლებს გრძნობას, უთანზრახოს,
 ბეჩავს მიუმყუდრებს, მარტოდ არვინ ნახოს.
 ყოველ სისხამ დილით, ფეხზე როცა ვდგები,
 ხილვა მოლანდების ჩემი წყურვილია,
 მძიმედ დაშვებულა ფარდა მონატრების,
 მწვავედ მომდებია ნახვის იდილია.

.....

ზვირთად აზიდულა ტალღა მონატრების,
 ნატვრამ მოიტანა ხილვა მოლანდების.
 ლოცვად მოქცეულა აზრთა სამფლობელო,
 გვედრებ — დამაფარე კალთა, ღვთისმშობელო.



დროც კი მალოდება

მტანჯველი გოდება,
უგია ოდებად.
ქცეული ლოდებად
დროც კი მელოდება.
მიხმობენ ზარები,
ზღაპრული ზმანების,
ოცნებათ კარიბჭე
ზღვა ნეტავს მანიჭებს.
ნეტარი სხივების
უღერადი სიმებით,

გულ-გულთა ცა - კალოდ
ქცეულა სამყარო.
მიხმობენ ზარები,
ზღაპრული ზმანების,

ქცეული ლოდებად —
დროც კი მელოდება.

შენი გულის გულებით

შენი გულის მალამო
მეფინება იმედად.
სხვაში ნაღველს ჩაღვრიდა,
უფრო დაამძიმებდა.
სითბო ასე გალიოს,
ყანა უნდა ჰექტარი.
დათვსაც გააპრუებდა
უმძაფრესი ნექტარი.
მაგ შენს გიუურ მანერებს,
თვალის მეტყველ მზირობას,
ვერას აკლებს ასაკი,
ჭაღარა და ზრდილობა.
ჩანს, ძვირფასი ოქროა,
არ ჩანს – თვალს ჭრის, ანათებს.
ეგ სითბური ბალანსი,
ქვაშიც კოცონს აანთებს.
ზღვა უძირო, ულევი,
თუ მექანიზმს შევქმნით,
შენი გულის გულებით
მალე მზესაც შევცვლით!



პრალვით

ქვაში და ხეში,
წყალში და მზეში,
ბრწყინავს სახება
ღვთისა და ძესი.
თვით სამყაროა
წმინდა საბება.
მამა, ძე-შვილი
და უკვდავება.
სიცოცხლის ეშხი,
მიწა და ნეშთი.
ასე გადადის
ხელიდან ხელში.

ერთად ვიყავით

ერთად ვიყავით
და შადრევნები
აღლუმს აწყობდნენ!
ერთად ვიყავით,
ერთად ვმსჯელობდით
ჩვენ ჩვენს აწმყოზე!
ფანტელებივით
თავს გვეყრებოდა
ყვავილი ნუშის,
რა მოგიზგიზე
ორი კოცონი
ღვიოდა გულში!
შენი ხელები,
შენი ხელები
რომ შეხებოდა,
არასდროს მუხა
საქართველოში
არ გახმებოდა!



კონტრასტები

არა ბაგეზე ღიმილს რა მოშლის,
გულში ისეთი წევს ჩრდილის მორი.
როგორ ვეცადე ეს კონტრასტები
ვერ შევუთავსე ერთმანეთს ბრძოლით!
გარეთ ღიმილი, ენძელების და ნარცისების,
გულში ტკივილი მარტოობის და დავიწყების!
ნლებსაც თავისი მიაქვს!
ყველას თავის წილი!
ბაგეს – ღიმილი რჩება,
გულს – წესტიანი ჩრდილი.



თვრამეტი წლის ხარ

(სოსოხ)

თვრამეტი წლის ხარ,
მე გაღვიძება მიჭირს.
ტირილი მესმის
პანაწკინტელა ბიჭის,
ბაგა-ბაღისას
ტკივილით ვაღებ კარებს,
- ცრემლებით სავსეს
ვუყურებ ძვირფას თვალებს.
ხელში ატატულს
მაგრად გიხუტებ გულში.
დღეს თვრამეტის ხარ
ეს იყო მხოლოდ გუშინ.
გულიდან გიგლევ
შხამის ფიალას ვხვავ.
ეს იყო გუშინ
დღეს შენ თვრამეტის ხარ
გული სამყაროს
უერთებს გულის ძახილს!
ჩემო პატარავ,
დღეს თვრამეტი ხარ...

ირინას

ირინა მოდის!
ისმის ჩურჩული ხეთა,
შენთვის ლოცულობს
კაცხის სვეტი და მცხეთა.
წმინდანებს შენზე
დაუბერტყიათ კალთა,
ხარ სიცოცხლე და მზე —
— საქალეთის ქალთა!
მზესავით აფრქვევ
ირგვლივ ღიმილს და სითბოს.
ერთი ციდა ხარ,
გუშინ გამიჩნდი თითქოს!
ხარ, როგორც განძი
ძვირფასი და ნამცეცა.
სიცოცხლე შენით
ხარობს და მიდის ზეცად!



რატომ მგონა

რატომ მგონია, რომ გავჩნდი შენთვის,
როგორ მოხვედი ასე ჩემს გულთან?
რატომ მაშფოთებს ასე საშინლად
შენი ყოველი თმის ღერის სუნთქვა?
რატომ მგონიხარ ვარსკვლავი ჩემი,
ჩამოვარდნილი ჩემთვისვე ციდან?!
რატომ დამყვები დღითა და ღამით,
უკუნეთს როგორ მინათებ მშვიდად?
ნუთუ ოცნებას არა აქვს ბოლო,
ნუთუ მოითხოვს შენირვად ზვარაკს?

ღმერთო, სიცოცხლის მშვენიერ წამებს
რა სისულელის გულისთვის ვშხამავთ!

ელვა

შორს ელავს,
ცა ღელავს,
ჰაერი თრთის.
ქუხს, მიწა ზანზარებს!
უუუუნით წვიმს.
მყის ყნოსვას დაგიტკბობს
სურნელი ტყის,
ალარც გაგონდება
სხივები მზის.
მოხუჭულ თვალშიც ჩანს
კონტური მთის,
იძინებს, აშფოთებს,
ზანზარი ცის.
ცას ელვის სარტყელი
იჭერს და კრავს,
თორემ ვერც გასძლებდა
ალბათ ერთ წამს!



მთვარე მთვარეულა

მთვარე ჩამომდნარა,
სულ მთლად გალეულა.
ნეტავ რამ აქცია მთვარე მთვარეულად?!
ნეტავ რა ანუხებს?
დარდი თუ ავდარი?!
მთვარე დედობილი,
მთვარე ამაგდარი.
თუ მზის მცხუნვარებამ
დაადნო ეული?
აბა რამ გახადა
მთვარე მთვარეული?!
იქნებ უიმედო
ნატვრამ ღამეულამ?!
აბა რამ აქცია
მთვარე მთვარეულად?!



ჩემი მონატრება

ჩემი მონატრება არის აგონია,
სრბოლა, მისწრაფება, რწმენა ანთებული.
ჩემი მონატრება არ განაგონია,
იგი ოცნებაა ციდან დაშვებული!
ჩემი მონატრება არის ნოსტალგია,
ზვირთი, ქარიშხალი, აფრა აშვებული!
ჩემი მონატრება ცა და მოცარტია.
თვითონ მუსიკაა ჰანგად გაშვებული!!!



როცა

როცა წევხარ და ფიქრობ,
როცა ნატრობ და ელი,
როცა ნამცეცებს ითხოვ
და წეტარება გელის.
როცა ზვავდება მთები
და უღიმღალო დღეთა
მღვრიე ქარავანს ჰყვები.
- მოვა იცნება შენთან!
როცა იღვიძებს ნისლი
და მთათა კალთებს სტოვებს.
მე შენ მიყვარხარ – იტყვი
და უკვდავებას ჰპოვებ!!!

ნინო!

ოცნებავ და ქალო,
ჩემო ნატვრის თვალო,
ნამცეცავ და ტკბილო,
ცუგრუმელა ნინო.
დედის სიცოცხლე ხარ,
ქვეყნიერი სიტკბო.
გადაგყლაპოს კაცმა —
— აბა რაღა გიყოს?!
ასე სიხარული,
ასე ნატვრის თვალი,
როგორ გაჩნდი ასე
პანაზინა ქალი?!



სად იყავი აქამდე

სადა ხარ?! – არ ჩანხარ,
მინდიხარ! ნატვრა ხარ.
გელი... გამოჩნდები როდის?
თმა თეთრად დათოვა
მე ისევ მარტო ავრ,
სხვათა გაზაფხული მოდის!
სადა ხარ? – აქა ხარ!
რატომლაც არ ჩანდი.
რამდენი გელოდე,
სად იყავ აქამდი?!

მღერის მტკვარი

ბაგეს შერჩა
კოცნის კვალი.
მღერის წვიმა,
გალობს ქარი.
მიწას შერჩა
ნატერფალი.
დარდობს მიწა,
ნატრობს წყალი,
ნაავდრალი. —
— მღერის მტკვარი.
არ გამქრალა
სამართალი,
გადმოიფრქვა
ზეცით მადლი,
ცა სიკეთეს
არ დაგმადლის!



მართლა ასეთი ხარ?!

ნისლი ვარ თუ ბინდი ვარ,
საქანელით ვკიდივარ!
დავეშვები ვძიმდები,
ავმაღლდები ვმშვიდდები,
მოვევლები მთას და ბარს,
ვიცი, ვიცი სადაც ვარ.
ვეკითხები წყალს და ქარს,
მინდა მხოლოდ დანახვა.
შევშინდები ხანდახან,
ვეჭიდები ხავსს და ქვას,
არ მასვენებს კითხვა –
- მართლა ასეთი ხარ?!

სიმდიდრის წყარო

გრძნობათ პრერიებს,
ვნებათ ქარტეხებილს,
ნაცნობ რელიეფს,
ჭალას ატეხილს.
სულის სიდინჯეს,
გულის საუნჯეს,
ვნებათა ღელვის
ძლიერ კჯაუჭებს.
არსად ნახული
სიმდიდრის წყაროს,
სიცოცხლე დნება,
სიცოცხლე ხარობს.
ვით ნიაღვარი
მოღელავს ვნება.
სიცოცხლე ტრფობის
ხალისით ლლვება.



შენ საქართველოვ!

შენ, საქართველოვ,
 სისხლო საკუთარო,
 ღვთისმშობელის და
 მეფეთ ნაფუძარო,
 ნინოს ნატერფალო,
 მცხეთავ, ნადიკვარო,
 უცხო სურნელებავ,
 დედავ და მშვენებავ!
 წინაპართა სისხლით
 გაუღენთილო მიწავ,
 ტკბილი დედაენის
 სამშობლოვ და ძიძავ!
 შენს უბადლო ბალნარს,
 მობიბინე კორდებს,
 უანგარო ზეცას,
 მთვარესაც და მზესაც
 ვინ აუგებს ოდებს?!
 შენს ტაძრებს და წყაროს,
 შენს ხედებს და ჭადრებს,
 სიცოცხლე რომ ხარობს,
 ვინ მოურთავს ხაროს,
 ქებას ვინ შეჰკადრებს?!
 შენ, საქართველოვ,
 მშვენიერი
 ზიხარ დედოფლად!



შენ შესამკობად
ფუნჯს ფერები
ალარ ეყოფა!
შენს შესამკობად
უძლურია
რითმად მიჯრები!
შენ სიყვარულში
დედასა და შვილს ემიჯნები!

სამშობლო – სიტყვა პირველი
და საოცრად თბილი,
მეორე – დედა-შვილისთვის ან
მშობლისთვის – შვილი!

უცხოდ გორაულ

რწმენა შერყეული
დილის ერთეული.
ღამის მთვარეული
რწმენა არეული.
წრფელი გატაცება,
ან კვლავ აღტაცება
და ცად ატაცება
უცხოდ შორეული!



თავისუფალი ყოფის რეზიმი

ვდგები თვალებდახუჭული
(წეს-კანონი მიგვითოთებს),
მადლობა ღმერთს არის შუქი,
რომ არ ვურჭობთ როზეტს თითებს.
ასე თვალებდახუჭული
მოვამზადებ ხვალის სადილს
და პროცესის ორი მხარე
ავისრულებთ გულის წადილს.
მოვრჩე... მერე დავიძინებ...,
მაგრამ მაშინ ქრება შუქი,
შრომისა და ბრძოლის ალო
მომადგება ბრახა-ბრუხით.
სად წავიდე... თვალებს ვხუჭავ,
ვეკითხები აწმყოს ცბიერს,
ეს სიცოცხლე ისეც მუჭა
რა ყოფაში გამოვლიე!...
ამ საშინელ ყოფას მაინც
თუ სიკეთის უჩანს ბოლო,
ისევ მოვალ, რომ სიცოცხლე
ჩემი წილი მივიწონო!
არის აზრი სიცოცხლისა,
რომ ბოლომდე დატკბე მისით –
- ღამე უნდა და-ი-ძინო!!!
- აბა, საქმე?! – საქმე – დღისით!

იყიდება სიცოცხლე

ვყიდი, ვყიდი სიცოცხლეს
არ მჭირდება სულაც,
შვილს კედელზე ჩარჩოში
დავუტოვებ სურათს.

ვყიდი, ვყიდი სიცოცხლეს
ნაქებს ედემ-ბალნარად.
თუ ცხოვრება ეს არის
ჯოჯოხეთი რაღაა?!

ვყიდი, ვყიდი სიცოცხლეს
სულ იაფად, გროშებად,
თუ კი ამით წყეული
ჯოჯოხეთი მორჩება.

ვყიდი, ვყიდი სიცოცხლეს
არ მჭირდება სულაც.
შვილს კედელზე ჩარჩოში
დავუტოვებ სურათს!



შეღარება

ვარსკვლავთ ანტურაჟში
ახლის გამოჩენა,
ცაზე ცისარტყელა
ნაზი შვიდი ფერი.
რატომ ხმას არ იღებ,
რაღა გემართება,
სახე გაგხდომია
მუქი შვინდისფერი.
ტყეში ნაკადული, -
ცაზე ბილიკები,
ხეზე მწვანე ხავსი
მობიბინე ფრიად.
შენთვის მემეტება,
შენთვის ყველაფერი.
შენთვის გულისკარი
დარჩენილა ღიად.
რატომ ხმას არ იღებ?
რაღა გემართება?
ნეტავ ქვეყანაზე
ან ვინ შემედრება?
ცა და ვარსკვლავები,
მზე და განთიადი!
მე ხომ ყველაფერი
შენთვის მემეტება!!!



შენთან და შენით

შენთან და შენით
უკვდავებას მე ვუკრთხები
ბარათაშვილის მერანივით
მიმაფრენს ფრთები.
შენთან და შენით
ვიბადები და ვმეორდები,
და მხოლოდ შენით,
უბადრუკნი მომდევენ წლები!!!

* * *

ანი-პანი,
ჭაში-წყალი,
ზღვაში-მზე და გუნდა,
რაც გავეცი — ქვაზე დამხვდა!
ასე დამიბრუნდა!



პალიან ძვირვასი

შენს ულამაზეს თითებს,
დაუოკებელ ვნებას,
იმ უძვირფასეს ნივთებს,
იმ ნეტარების შვებას.
მთვარის, ღამეს რომ მითევს,
იდუმალების რწმენა,
გულის კუნჭულს რომ მივსებს
ეგ სანუკვარი მზერა.
ღიმილი – ვარსკვლავთ ცვენა,
თვალები – ვარსკვლავთ ზღვა.
დაიჯერებდე შენაც
დაინახავდა სხვასაც.



აკაკი

ჩემი პატარა აკაკი,
ბავშვი კი არა-არაკი!
ზღვა სიყვარულის ელვა
მის დიდ თვალებში კრთება!
ჩახუტება და ამბორი
არ ჰგავს ნანახს და გაგონილს!..
ისე მეწევა ცაში...
რომ ხელით ღრუბლებს ნავშლი!
მე ვეხუტები აწმოს,
(მინდა რომ ყველამ ნახოს),
და ვიძირები მასში
გულში ჩაკრული ბავშვით!

1.01.2017 6.



30ლაცა ყვირის

გარეთ წვიმაა...
ჩამოწვა ბინდი.
ვიღაც ქუჩაში
ყვავილებს ყიდის.
ვიღაცა მოდის,
ვიღაცა მიდის,
ვიღაცას ფეხევეშ
ეცლება ხიდი!
ვიღაცა ყვირის,
ვიღაცა ბორგავს,
ვიღაც ბედს ეძებს
მიჰყვება გორგალს.
წვიმა კი მოდის
რიტმში ხმაურობს
ვიღაც ბოდვაში
ჭედს გრდემლზე უროს.
უცებ... საკინძეს
მოსწყდება ღილი...
ვიღაცა ყვირის...!

გიო, მარი

გიო, მარი, გიო, მარი,
ხან ცხადია, ხან სიზმარი.
მწველი დარღი, მწვავე სევდა,
ეს ტკივილი ცხოვრობს ჩემთან!
რა სიმძიმის დამაქვს ლოდი,
წლები გარბის ოქროს ფონდის
დაჭრიალებს ხმელი ტოტი
მიდი-მოდის, მიდი-მოდის
დასრულდება...
ნეტავ როდის?!



პედის ვარსკვლავი

ცეცხლი მწვავს,
ცეცხლი მაშინებს,
ცეცხლი უსაზღვროდ მიცავს,
შენ, ჩემო ბედის ვარსკვლავო,
საბედოსწეროდ მიცან!
ცას ნუ მოსწყდები, მეშინის,
თვალს მჭრის უკუნი ღამე,
მდარაჯობ ერთგულ მწყემსივით
დგახარ დამითვლი წამებს.
მიხარის – ნათელს მაპკურებ
ვწუხვარ – არ ჩანხარ ბნელში
ახ, ჩემო ბედის ვარსკვლავო
წუთისოფელი შემშლის!

ქეთი, მარი, გიო, ანა

ქეთი, მარი, გიო, ანა,
აი ია, ანა-ბანა,
ველ-კორდები მოხატული,
მთაწმინდა თუ ნარიყალა,
უფსკრულები, ქარაფები
ნამზეურა, ნაავდრალა,
ყვავილნარი, ლანდშაფტები,
ნაკადული წყაროსთვალა.
სიხარულის ელექსირი
ჩქეფს სიცოცხლის შადრევანად
ქეთი, მარი, გიო, ანა,
ქეთი, მარი, გიო, ანა!


მზის ჩასვლის შეადეგ

(დედის გარდაცვალების გამო)

მზის ჩასვლის შემდეგ,
მზის ჩასვლის შემდეგ,
შენ ამ სამყაროს
აღარ ეკუთვნი.
ავი დემონი ვით ყოვლისშემძლე,
უამრავ ბოროტს უდგას ფერხულში!
შემოგჯარვიან, აქვთ ზარ-ზეიმი.
გამარჯვება სწამთ. ტკბილია განცდა!..
დაუნდობელი და უტიფარი
უკვე ყოველგვარ საზღვარს გადასცდა!
რეკს შიშის ზარი, გთრგუნავს შეგრძნება,
უმწეობის და უსუსურების,
ჯერ კიდევ აქ ხარ... მინდა შეხება,
კიდევ იმედის ზღვად მეგულები.
მაგრამ, აღარ მცნობ!... ორომტრიალში
თავი როგორმე უნდა დაიცვა!
ბოროტი ლალობს, ყველა ხერხი აქვს.
მისი ცდუნებით ქრისტე გაიცა!
ჯერ ყივილამდე კარგა შორია,
იღვრება შუქი სანთლის სინათლის
და ბოროტების მონოტონია
უჩინარდება შავ-ბნელ ყინვაში!...
შენ შვებით სუნთქავ... სინათლის ალი,
სულში იმედად როცა იღვრება,
რომ აგეხილა, მგონია თვალი
და დასახუჭად არ დაიღლება!!!

ამირანისთვის

არ ჩანხარ, დაისს შერწყმიხარ,
თუ ცისკრის სხივი გმალავს.
აკლიხარ ღეროს ღერწმისტანს
ცრემლი მოჟონავს ღვარად.
იქით ცუგრია დაგეძებს,
ცმუკავს, წკმუტუნებს, ტირის,
და ძმა დატოვე პირმეხად,
ობლად ცოლი და შვილი.
ნისლი ჩამოწვა, ბინდდება,
თენდება სისხამ დილა.
ვეღარ გავიგე სადა ხარ
გლვიძავს თუ სადმე გძინავს.
გეძახი, გიხმობ, გეძახი.
ცას შევღალადებ მწყრალად,
დაბრუნდებოდი ათასჯერ,
ცრემლებს რომ ქონდეს ძალა!



არ მოვიდოდი

არ მოვიდოდი
მე შენთან მაშინ,
ზღვაში მზეც ჩაჰეყვა
ჭალარა სხივებს,
გული კი... როგორც
უმწეო ბავშვი
შენ მოგეტმასნა,
ვერ მოიცილე!
ბროლის სასახლე
იქცა ნამცეცად,
დღის სინათლემაც
დაჰკარგა ხიბლი.
როგორც განრისხდა
მოწყალე ზეცა,
როგორ შებრუნდა
ბორბალი იღბლის!
წყარო დამშრალა,
გიგანტურ კაშხალს
შეჰყრია სენი,
ბრუნავს სამყარო.
დაველოდები კვლავ
მამლის ყივილს,
მოახლოება
ცისკრის მახაროს!



ქალის გული

ხშირად ოცნებები
ჭაში იძირება.
მგრგვინავ აფეთქებას
ახლავს მიძინება.
ირგვლივ გამეფდება
ჭუჭყი სიბინძურე.
გული დაიღლება,
ტოვებს, მოიძულებს.
მაგრამ უარია
მარტო გული ქალის.
მუდამ ელოდება
ვნებათ აპოკალიფსას!!

გულება

იფრქვევა შხეფებად,
ქაფია ჩანჩქერის.
მძინარე ქვეგანცდებს
აფხიზლებს გაქელილს.
არც გული არც ფრთები
არ მემორჩილება.
არ ხდება არ მახსოვს
ასეთი ცვლილება.
ქვა ანდამატის აქვს
თილისმად ონავარს,
მეც მისი ტყვედქმნილი
მორჩილი მონა ვარ.
ტკბილი და გიუმაჟი,
თბილი და ველური.
ქარშიც და წვიმაშიც
მსურს, წამით შევუვლი!



შესვებრა

ხმალი ხმალს დაჰკარ,
ხელი-ხელს.
გული გულს უხმობს,
ფერი-ფერს.
ზვირთი ზვირთს ებმის,
ნისლი-ნისლს.
ხორცი ხორცსა სცნობს,
სისხლი-სისხლს.
კბილი კბილის წილ,
თვალი-თვალს.
მთა მთას შებმია,
ქარი-ქარს.
მხარი მხარს მიეც,
სული-სულს.
ქვა ქვაზე
ხვდება გაზაფხულს!

მინდა გიყვარდე

მინდა გიყვარდე
 მწველი ცეცხლით,
 მგზნებარე გულით.
 რომ შემოგწირო
 უყოყმანოდ
 ხორცი და სული.
 რომ ჩვენს ერთობას
 აკურთხებდეს
 თავად განგება.
 და ჩემს გრძნობებსაც
 ღვთისმშობელი
 ედგას თავდებად.
 რომ ჩემს ნაკვალევს
 დაეძებდე ღამე და დღისით,
 ფერდაკარგული ჩანდეს
 ტრფობის ბრწყინვალე მითიც.
 მეც სიყვარულმა
 მომაქციოს ისეთ გრძნეულად,
 რომ შენი ჟინის
 დაოკების ვიქცე სხეულად!
 რომ ვნებააშლილს
 სარეცელთან ციმ-ციმ მიგყავდე...
 ო, როგორ მინდა,
 როგორ მინდა, ასე გიყვარდე!



ძვთი – მარი

ქეთი — მარი, ქეთი — მარი,
ტყე შრიალებს, ნიავქარი
ლოდებს ისე ეფერება,
ცა გახსნილა ეფემრებად.
მღერის, გალობს, ხარობს, ილტვის.
დრო თავისას მუდამ იტყვის!
ანთებული ფერთა რემად
ფეთქავს ფულის მღელვარება!
უნანავებს დროის ქნარი.
ქეთი — მარი, ქეთი — მარი!

დრო მკურნალია

სამყარო ბრუნავს.
კარებს ამტვრევს
ფიქრის გალია.
დრო ტკივილია,
დრო ტვირთია,
დრო მკურნალია!
აგორდა ზვირთი,
აიზიდა ცათამბჯენებად.
გახუნდა მითი
დაზოლილი მუქ-მუქ ფერებად,
მძიმეა წუთი.
აეტეხა ფიქრი ველებად
მე იქვე ვდგავარ,
ამოგიცნო ჩემმა ხელებმა.
არ მეჩვენება მე მანძილი,
არც მეჯერება!



მელიქიშვილზე

გზაჯვარედინზე ის სახლი ვიცან!
დიდი, პირქუში, ისე ეული!
ამ სახლში იძრა სიცილით მიწა,
აქ მუშაობდა დავით მჭედლური!
მოლელავს, მოქუხს, ჟონავს ტკივილი.
წარსულის სხივის ხალისი ახლავს,
აქ, ორი დროის შემტევ ჭიდილში,
დაიბადება მჭედლური ახლად!!
იქ, სადაც ცრემლი მოგორავს ღაწვზე,
ტკივილი ფერფლავს, აბუქებს ნაკადს,
სისხლის ცრემლებით, ფერფლითაც დავწერ,
ვიცი, ვარსკვლავთა ანტურაჟს ვქარგავ!

ოცნებათა მორავში

ოცნებათა მორევში,
ფრთაფარფატა ფერიებს,
გულმხურვალე ლოცვებით
ვეღარ მოიგერიებ
ოჲ, ცრემლების მძივები
დაიღვრება ჩანჩქერად
და იმედის სხივები
საბოლოოდ ჩაქრება!
მივუყვები ვნებათა
ფაფარფაშლილ დინებას,
ვიდრე ჩემი ოცნება
ზღვაში ჩაიძირება.
ოცნებათა მორევში.
(ო, ეს გული თავნება)
ბობოქარი ვნებებით
მკერდში დაიკარგება!



შეგონება

კაცს არ ანდო თავი შენი,
კაცზე სანდო არის გველი.
გველს მალული არ აქვს ფერი,
მტერს დახვდები, როგორც მტერი.
მტერს არ ანდო სული შენი,
მტერზე სანდო არის მგელი.
მგლის ანაბარს შერჩა ფერი,
მტრის ანაბარს – მხოლოდ მტვერი.
ფეხს წუ ადგამ თუ წევს მწერი,
მოწამვლია ყოფის წვენი.
არ გაქელო გრძნობა მწველი,
არ იქავო ცუდად ხელი.
ყურად იღე დარიგება,
ესტაფეტის თანრიგებად.

მოისვენონ წიალს ძვლებმა,
ბოროტზე აქვს კეთილს ძლევა!!!

ოცნება

ნეტავ გაგრძელდეს წამი
და საუკუნოდ იქცეს.
მივწვდე მწველ გულის წადილს,
ქალურ ოცნებას მივწვდე!
უძვირფასესი წამი
იქცეს სამყაროს რგოლად.
რომ მზემ დახუჭოს თვალი,
რომ დრომ შეწყვიტოს რბოლა!
ნეტავ გაგრძელდეს წამი
და საუკუნოდ იქცეს!
ნეტავ აორთქლდეს სივრცე,
ჩვენ ფანტელებად ვიქცეთ!!!



განგაში

(ძვილუბის გამო)

მოდებულია ბნელი მანია:
რამდენი შვილი ნარკომანია!
შეურქმევიათ „ნარკოპიზნესი“!
შხამით ფულები ჩასდით ჯიბეში!
მიწა გუგუნებს, ზანზარებს ზეცა,
კვლავ მძვინვარება ზეცის გაისმის,
გაოგნებულა ქვაცა და ხეცა,
რა მომავალი რჩება ხვალისთვის?!
ნიაღვრად მოსდის ცრემლი ღვთისმშობელს,
კვნესის სიმღერა უბედურ გედის,
ნუსს ქართვლის დედა „ხმლით ვეღარ გვიცავს,
სიმბოლო ყველა დედათა დედის!
სათამაშოშიც საწამლავია!!!
ყოველ ნაბიჯზე შხამი და გესლი!
და მაინც, „შვილი ნარკომანია“
ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვესმის!
უნდა ავტეხოთ ყველამ განგაში!
რომ გაგვითენდეს მშვიდობის დილა,
ქარმა გაფანტოს მტვერი და ნისლი,
სანამ პატარებს ბალიშზე სძინავს!!!

როცა მარტო ხარ

როცა ფიქრებთან დაფრენ,
როცა მარტო ხარ შენთვის.
ირგვლივ ყველაფერს სძინავს
და სუნთქვა სუნთქვას ერთვის.
როცა ნატრობ და ელი,
როცა ტირილიც გშვენის,
როცა ოცნება ძველი
შენში ცოცხლობს და მღერის.
თანამგზავრად გყავს ღამე,
გიძლვნის მშვენიერ წამებს,
როცა მარტო ხარ შენთვის
და სუნთქვა სუნთქვას ერთვის.

* * *

არ ყოფილიყო ქვეყნად სულელი,
არ იქნებოდა ჭკვიანიც ალბათ.
ვინ გაარჩევდა ცარცით დაწერილს
თვითონაც თეთრი რომ იყოს დაფა?!



შეგუება

ტირილი, ტკივილი იბრძვის, იმარჯვებს.
თრგუნავს ხალისს და ვწებას.
უნდა გაჩუმდე, უნდა დანებდე,
არასასურველ ნებას.
როცა პარკუჭი სარქველს დახურავს,
როცა ქარბუქში თავზეც არ გხურავს,
სეტყვა გეყრება, ფერი გეცვლება,
ზედ რომ გადაგდის თქეში.
ვარსკვლავთკრეფის დროს, რომ
დავიწყების სხივი შეგრჩება ხელში!
შენ არ ახსოვხარ! შენ დღეს მარტო ხარ!
ხან შენ, ხან ის და შენ!
აქ დრო და უამის მონაცვლეობა
გიცვლის ძალას და ფერს!

ჭრილობა, მახვილი, ყრუ ამოძახილი!
ცრემლთან შეზელილი სევდა!
აღარ მოშუშდება! აღარ დაჩლუმგდება!
აღარ გაყუჩდება ვხედავ!!!

დედას

მელი და მიცდი,
გაწუხებს ტვირთი.
სიმძიმე წლების –
ტვირთია მხრების.
მიცდი და მნატრობ...
თმას თეთრად ათოვს...
დრო არის მკაცრი –
- ლოდინს არ გაცდის.
გაწუხებს დარდი –
- იქნებ გზას ავცდი?!
დრო ტკივილს წაშლის.
აღარ ვარ ბავშვი!



* * *

ტრიალებს ბედის ბორბალი,
შლის ქარიშხლიან მუზებს,
ვინც მოკვდა იმას მივტირით,
ცოცხალს არასდროს ვუსმენთ.
პიკს მსწრაფლ დავლაშქრავთ, ავიღებთ,
სულს დავამძიმებთ ლეშად,
რაში გვჭირდება ტალანტი,
ვერც გავყიდით, ვერც შევჭამთ!

ლამის სუნთქვა

მზე მთებს იქით ჩაიკარგა,
უჩინარი გახდა სხივი,
ცისკრის პერანგს ავლებს მაქმანს,
ელოდება მამლის ყივილს,
მთებმა ნისლი მოიბურა,
შემოიცვა ნისლის კაბა,
სიბნელეში ლამის სუნთქვა
გაიფანტა, დაიკარგა!!!



მარიამ ნიკლაშვილი

საპატირიარქოს რადიო.
კარგავს მსმენელს დამნახველებს.
თუ აღმოჩენად არა სთვლი,
ან სურდო გაქვს, ან გახველებს,
რიხით გილოცავ წიკლაურს,
აღმოჩენათა სერიას,
(„ვინ მოყვარესა არ ეძებს -
- იგი თავისა მტერია“!)
უმუშევრობის პრობლემა
სოციალური ფონი.
ცხრა სამუშაოს ეფაფვრი
ვაჲ დრონი, დრონი, დრონი!!!



МЫ ДА НОЧЬ

*Пёс не говорит как мудрец,
Но всё равно гает,
мнение своё
высказывает!*

Все, все, что создали
Мыслители,
Стоит все между нами,
дорогой,
Не отходит от меня
сладкая мысль,
Что ты мой!
Что ты мой!
Что ты мой!
Весь мир стоит между нами,
дорогой,
Слышно только со всех сторон\прочь! Да прочь!
Вот стемнеет, нам никто
Не будет мешать,
Как хорошо нам втроем,
Мы да ночь...
Мы да ночь...
Мы да ночь...
Без друг друга, мы не сможем



быть счастливы,
Сколько боли мы друг - другу
причиняем,
Воля божья - принадлежим мы
друг - другу,
Только в мыслях мы чужие,
Это знаем,
Единственный, верный, добрый,
покровитель
Удаляет всякие мысли
от нас прочь,
Любимый, дорогой, всемогущий,
Как счастливы мы втроем:
Мы да ночь,
Мы да ночь,
Мы да ночь.
Где бы не был, потерялся
год веками,
Хоть целую жизнь не виделись
мы с тобой,
Яркая мысль дает мне
радость в жизни,
Ты же мой, ведь ты мой,
ведь ты мой!!!

БЫТЬ, ИЛИ НЕ БЫТЬ!

Каждый день, я с тобой,
И как устала
Вечно я твоя
А тебе мало.
Что ты хочешь
От меня?!
Скажи мне только.
Или мучить ты меня
Будешь как долго?
Буду делать бога ради
Все что смогу,
Но жить дальше так,
господи,
Я не могу!
Что мне делать?
Что мне делать?
Как же быть дальше,
Мучит даже сомненье
Стоит жить вообще?
сे что смогла
Тебе мало.
Не могу забыть.
И вот строго
Стоит вопрос:
Быть, или не быть?!



ПОЦЕЛУЙ МЕНЯ!

Поцелуй меня, поцелуй,
Обними меня
Еще больше.
Отними от меня
отними,
Отними от меня
Все что хочешь.
Отними от меня
отними,
И душу и сердце и веру.
Не сможешь, не хочешь,
не желаешь.
Ну дела,
Ну дела,
Ну дела.
Я кружусь, вокруг да около,
Обслуживаю тебя
как могу.
Ты же как-то не
замечаешь,
Не могу, господи,
Не могу!
Поцелуй меня, поцелуй,
Обними меня
Еще больше,
Отними от меня, отними,
Отними от меня
Все что хочешь.

ЗВЕЗДА МЕЧТЫ

Будь, со мной рядом,
Больше не хочу
Я с тобой рядом
В небеса лечу.
Облетаю небо,
Солнце и звезды.
Ты плод прошедших
Детские мечты.
Радость не ценимая
Жизнь и надежда,
Ты мне бесценная
Личная звезда.
И что бы не было
Ты будешь звезда,
Превратившись в реальность,
Детская мечта.



ВЫСШЕЕ ЧУВСТВО

Я с тобой, ты со мной,
Вместе будем мы.
Главное то, что мы с тобой
неразделимы.
Не прикажешь сердцу
как-то,
То, чего хотим
Так властвовать над сердцем,
Не как не сможем.
Они сами осознали
Друг - друга без нас,
Мы по пути их следуем.
Вот и родилось
Чувство наше, выше всего
Что только на свете.
И унесла нас по пути
Любовь и ветер!
Вот родилось чувство наше
Как выше всего,
То, что в соре, то, что спорим
Это ничего.

ვარდის სუნთქვა

რაც გაგიცან, ვარ ამ დღეში,
შენთვის ვინმეს უთქვამს?
რომ ის ვარდი ბროლის ყელში,
შენი სუნთქვით სუნთქავს.
რომ ლარნაკის ნაცვლად ჭიქას
დაჰკრავს ვერცხლისფერი,
რომ ეს გული შენით ხარობს,
გელის, ანცობს, მღერის.
ხარ სიცოცხლის დასაბამი
და სამყაროს ბოლო,
რომ არსება, ჩემში, ქალის,
შენით ფეთქავს მხოლოდ.



პატანზე

შენ გარბიხარ,
რა სიჩქარით...
მე, ბაქანზე ვრჩები,
უცებ, გულმა
ერთიანად,
დაიბერტყა წლები.
მოგდევს, მოგდევს,
ბნელ გვირაბში,
გეძებს, გეძებს, გეძებს
და ვინ იცის,
მერამდენედ,
ჩაგიქროლებს გვერდზე.
ვდგევარ, ბაქნის
ალარ მყოფნის
სიმაღლე და განი,
სუნთქვას აშთობს
შენი სწრაფვით
ატეხილი ქარი.

თუთისოფელი

დადიხარ წელში მოხრილი
და ცხვირით მიწას თოხნი.
ნამად აპკურა განგებამ.
სულ შენი ჭირის ოფლი.
ნურც ფიქრობ სიცოცხლეშივე
რომ დაგიფასდეს გარჯა,
ცოცხალი ვის რად უნდიხარ,
მოკვდი — იქცევი განძად.



პიმი სამოგლოს

სამშობლოვ უფლით ნაკურთხი,
ღვთიმშობლის კალთა გიცავს,
რჯულო, ენავ და მამულო,
სისხლით ნაბანო მიწავ.
ერი გულადი, პურადი,
სიმართლე — გზა და ხმალი,
თავისუფლება დროშად გაქვს,
და ფარად — ვაზის ჯვარი.
დიდება შენს ერს, ველ-კორდებს,
ხმელეთ-ზურმუხტს და ცა-ფირუზს,
თავისუფლებას მიელტვი,
რომ ყოფა გაიყმანვილო.
დიდება შენს ხალხს, დიდება!
ძეობა ქუხდეს ვალია,
მოგვიხმობ — მკერდით დავიცავთ
თრიალეთსა და დარიალს.

ქარი ფანტელს ერეკება

ქარი ფანტელს ერეკება,
 დაუნდობლად, უსულგულოდ,
 უსამართლო ასეთ დევნას
 გავძლებ განა, რომ ვუყურო?
 ქარი ავი, დემონივით
 ფანტელს ახვევს, როგორც ძაბრი,
 დაათრობს და გააბრუებს,
 დაცემამდე უღვთოდ დაღლის,
 დევნილი და დაქანცული,
 ეხეთქება მკერდით მინას,
 ტკივილების ეს ყრუ გმინვა,
 კაწრავს, კაწრავს გულის ფიცარს!
 სიმწრისაგან სახე მეწვის,
 რომ ალმური ამდის მწველი,
 რა სუსტი და საბრალოა,
 შველა მინდა, ვეღარ ვშველი.
 გული კვნესის, გული ტირის,
 ცრემლი მომდის ღაპა-ღუპად,
 ცის და მინის ღვიძლი შვილი,
 განწირულა დასაღუპად.




ჩატევილი ხიდი

როს მონაბერი ზაფხულის სიო,
იდუმალებით აუღერებს რტოებს.
გული ხალისობს, აფრენას ცდილობს
და კაეშანი ცოტა ხნით მტოვებს.
აქ, სიბნელეში, მოკლე ჰორიზონტს
შლის უამრავი მკვეთრი ციმციმი,
სიო ჩურჩულით ჩემზე მოგითხრობს,
შენ კი — ხარხარებ, ისე იცინი.
უცებ დუმილი დაიპყრობს სმენას
და ჭრელ სიბნელეს მოიცავს რინდი,
ვრჩებით უფსკრულის სხვადასხვა პირას,
ჩატეხილია ჩვენს შორის ხიდი.
გიხმობ, გეძახი, გეძახი, გიხმობ
და უარამდე ხელებსაც გიწვდი,
შენ კვლავ ხარხარებ და სწორედ ახლა
სხვებთან მიდიხარ, მე აღარ მიცდი.

დრო

ხან მზეა და ქარი,
ხან წვიმს, ხანაც თოვს,
დღე დღეს კვალში მისდევს,
ეჩქარება დროს.
როგორც ელმავალი,
როგორც მთვარე ცაზე,
ოცნებათა გემი,
იმედებით სავსე.
მზე ტყვიისფერ ღრუბელს
ავლებს ოქროს ვარაყს,
იმედების ძაფი
მისდევს ოქროს კალამს.
დრო არ იცდის, ჩქარობს,
თვითონ ასწრებს, ხარობს,
ვის უსაზღვროდ სწყალობს,
ვის მოუხნავს კალოს.
დღე, დღეს კვალში მისდევს,
ეჩქარება დროს,

დრო თავისთვის მირბის,
დრო თავისას ძოვს.



პაცეის სვეტი

კაცხის სვეტი ვარ,
ვდგავარ და ველი,
ლოდინმა ლოდად
მაქცია თითქოს,
შენახული მაქვს
სათუთად გულში,
გრძნობა, სუნთქვა და
ნაღვერდლის სითბო.
ვდგავარ და ვიცდი,
ბევრი მინახავს,
თვალსაც არ ვახელ,
დღეა თუ ბნელი,
მაბურავს ნისლი,
თუ ცისარტყელა,
არც თქმა მჭირდება,
არც დაძახება,
მე თვითონვე ვარ
ამოძახება,
მიწის გულიდან
ამონაწვერი.



ტალღაპთან

საოცარია, როდესაც ზვირთი
ქაფში ყველაფრის შთანთქმას აპირებს,
ბედნიერი ხარ, როს მძლავრი ტალღა
ხელს ჩაგავლებს და გაგინაპირებს.
მერე შეგითრევს, იდუმალების
ზღაპრულ სამყაროს რომ შეგახვედროს,
უფაქიზესი ძალდატანებით,
უხედნ კვიცივით ცდილობს გაგხედნოს!
ლალად ეძლევი, ქაფად ქცეული,
ზვირთების რიტმში თავდავიწყებას,
დაგავიწყდება ირგვლივ ყოველი,
ვინა ხარ, ისიც დაგავიწყდება.
ზვირთებზე მალლა ვარსკვლავი გიხმობს,
შენ კი ეშვები და ხმაც მისწყდება.
მორჩა, გათავდა, ფიქრობ და გტკივა,
....
ნკაპ! — ყველაფერი ახლა იწყება!

მზერა

ნეტავ ვის ელის
 ეგ თბილი მზერა,
 ჯერაც ბობოქრობს
 არ ჩადგა ქარი,
 ფოთლის სიმწვანეს,
 გაუშლელს ჯერაც,
 არ შერჩენია
 სიცოცხლის კვალი.
 არადა უკვე
 მაისი დადგა!
 ეს გაზაფხულიც
 მიდის, თავდება.
 რწმენა შერყეულ
 უმწეო ფოთოლს,
 ვინ დაუდგება
 ეხლა თავდებად?
 თვალი შეავლე,
 აჩუქე მზერა!
 სიცოცხლის თვლემას
 მოეღოს ბოლო!
 ყინვით გათოშილს,
 ყინვის ძილისგან,
 მწამს, გადაარჩენს
 ეგ მზერა მხოლოდ!



იმაზი

არ მოვიდოდი მე შენთან მაშინ.
ზღვაში მზე ჩაჰყვა ჭალარა სხივებს,
გული კი, როგორც უმწეო ბავშვი,
შენ მოგეტმასნა, ვერ მოიცილე.
ბროლის სასახლე იქცა ნამცეცად,
დღის სინათლემაც დაჰკარგა ხიბლი,
როგორ განრისხდა მოწყალე ზეცა,
როგორ შეპრუნდა ბორბალი იღბლის.
წყარო დამშრალა, გიგანტურ კაშხალს
შეჰყრია სენი... ბრუნავს სამყარო!
დაველოდები კვლავ მამლის ყივილს,
მოახოება ცისკრის მახაროს!



* * *

ვერრას მაკლებს კაეშანი,
ვერ შემჭამა, ვერ გამომხრა,
ვერ გამხადა ბუდეშავი,
ვერ მოსტაცა გულსაც ოხვრა.
მე სიცოცხლის ვგალობ ჰანგებს,
თავს დამნათის ათინათი
და ცხოვრების მიჯრა ჩანგებს,
ემატება ჟღერა მათი.

* * *

ჩემი ხალხია
და გულიდან ამოძახილი,
უფრო ბასრია,
ორლესული ვიდრე მახვილი!
ჩემი სისხლია,
ეროვნული მისი ღირსება,
უპირველესი
ამოსუნთქვის წამში ივსება!
ჩემი მიწაა,
ჩემი ხალხის აწმყო, წარსული,
აქვს ყელსაბამად,
მარგალიტის თვლებად ასხმული!
სიცოცხლე უფალს
მარტო იმად არ მოუცია,
რომ ვარდებივით
ვამშვენებდეთ რევოლუციას!
მან კურთხეული
დაგვაფარა თავზე ოლარი,

ერთსულოვნება,
აი, დიდი მონაპოვარი!

ზოთოლი

დავუძლურდი,
 აღარ შემწევს ძალა,
 შევებრძოლო,
 გავუმკლავდე ნიავს,
 ფოთოლი ვარ,
 შემოდგომის ხმელი,
 აშარ ქარს რომ,
 საითაც სურს, მიაქვს.
 ვეღარ ვზომავ
 თვალით დროს და სივრცეს,
 ვეღარა ვგრძნობ
 ტკივილსა და დალლას,
 სულ მარტო ვარ,
 დავიკარგე მგონი,
 აღარავის
 არ ვჭირდები ახლა.
 ო! ეს ქარი,
 აშარი და ანცი,
 დამაქროლებს,
 ძვლებში მამტვრევს სუმთლად,
 ზოგჯერ
 ისე მიმახეთქებს სადმე,
 ტკივილისგან
 შემეკვრება სუნთქვა.
 სიცოცხლით და
 სიყვარულით სავსე,
 დაუნდობლად
 გამომფიტა ქარმა,
 სიკვდილის და
 უკვდავების გზაზე,
 ახლა, სწორედ
 გასაყართან ვდგავარ.



სანთელი

სანთელში გული ფეთქავს,
მთელი სხეულით იწვის,
დადებული აქვს მკაცრად,
ღმერთის წინაშე ფიცი.
რომ ჩაიფერფლოს ხატთან,
უნდა ჩაიწვას ფიქრში,
უნდა გადადნეს ხალხად,
ხსოვნად აენთოს მისთვის,
რომ შეუერთდეს ზენას,
რომ შეეწიროს მრნამსს,
გადაეკვანდოს ღელვას,
ძალა შემატოს ხმას.
რომ მიაწვდინოს ზეცას
გულისტკივილი მიწის,
მიტომ იღვრება ცრემლად,
დაუზოგავად იწვის.

მე სანთელი ვარ
ქალის სხეულა,
განგების ნება
მტოვებს ეულად,
მთელი სიცოცხლე
უნდა ვიწვოდე,
რომ ბედისწერის
ძალა ვიცოდე.



მოცლოგი

შუალამეა, ყოველივეს
სძინავს, ისვენებს.
მე უგუნურმა მონატრებამ
ხელი დამრია,
ნამწამებს ნამავს მონაჟური
თვალთვან სისველე,
არ შემიძლია, უნდა გითხრა,
ჩემი ვალია.
შენი ამბორი, ესოდენი
ტკბილი ბადაგი,
ნეტავ ვის ბაგეს აუსხია
ქარვის მტევნებად,
ან შენი მზერა, უინიანი
და სანუკვარი,
თავგამეტებით, აგრერიგად
თავს ვის ევლება.
ჩამი-ჩუმიც კი აღარ ისმის,
ქარი ბობოქრობს,
აუწყვეტია სადავე და
თავაშვებულა,
შუალამისას, მის სევდიანს
ვისმენ მონოლოგს,
და მონოლოგი, მეჩვენება
მე ჩემეულად.

დამდევს და მიცდის

მიაღწევს ზენიტს, უფრსკულს ეშვება,
ზეცას მოსწყდება როგორც ვარსკვლავი,
წამოიჩოქებს მკვდრეთით აღსდგება,
არ ეზოგება სული და თავი.
გაზაფხულივით დარაჯობს ყინვას,
და იასავით ღიმილით ჩნდება,
ყოველ შეგრძნებას ფრთებივით ახლავს,
ჩემი სუნთქვა და ჩემი ოცნება.
სიცოცხლის რწმენა და აზრი მისი,
რომ მეც შვილი ვარ ცისა და მიწის,
რომ სიყვარული არ მტოვებს მარტო,
რომ სიყვარული დამდევს და მიცდის!



გნატრობ, გელი

გნატრობ, გელი,
გნატრობ, გელი,
მეცარება ხშირად ხელი.
ვარსკვლავებსაც,
მრავალთითას,
დასანახად ვეღარ ვიტან!
ხან სინაზე
შენეულა,
ლაქვარდებშიც შერეულა.
იათ ღიმი
შენ ეულა,
გაბნევია შენებურად.
სიმარტოვე
თან მდევს კრული,
არ მერევა თვალზე რული.
და სიცოცხლე,
ისიც გოჯა,
გალეულა ასე გონჯად.

შერეული ცეკვა

მშვენიერია - ფიფქი ყვავილთან ცეკვავს!
გაზაფხული და ზამთარი მღერის ერთხმად,
ეს სიყვარულის ანდამატი შლის ფრთებს,
ბუნების ნადიმს ისიც აყოლებს ხმებს.
ფიფქი ყვავილთან ცეკვავს!
სასწაულებრივ შერწყმას,
ამ საოცნებო სანახს,
გულს, ტკბილ გრძნობათა სამარხს,
ნადიმი ათრობს დღეს.
და სიყვარულის აჩრდილს,
როგორც პატარა ბავშვი,
ფიფქთა და ყვავილთ სრბოლას
თავზე ვევლები მეც.



მენატრეპი

მენატრები,
ფანტელივით ცვივა ციდან
ოცნებები,
გოლიათა, ციცქა, ციდა,
ქარი ტოტებს
დაუნდობლად აცლის სამოსს,
და ფიქრები
კოშკებს აგებს, სამომავლოს.
მენატრები,
ჩანს დამიგო ბედმა მახე,
მელანდები,
შიშით თვალებს ვეღარ ვახელ,
ვენაფები
ნატვრას, ქცეულს სამკაულად,
მესახები
ნეტარების საწყაულად.
მენატრები,
სიცივეა, მათოვს, მაწვიმს,
მონატრებამ
შემიფაკლა წითლად ღაწვი,
მონატრება
მაწამებს და ფიქრს არ მაცლის,
ეს — დრო არის,
ჩემთვის ასე ყრუ და მკაცრი.

ც დამტოვებ

ნუ დამტოვებ, ვუხმობ წამებს,
დრო მაწამებს დროის ტიტანს,
დრო საოცრად მიწანნალებს,
დრო საშინლად ვეღარ მიტანს.
ნუ დამტოვებ, არ ხარ - ვქრები,
წამი გვაქრობს, წამი გვიცავს,
დრო დაგვითვლის ძვირფას წამებს,
მიწა დროა, დრო გვემნის მიწად.

* * *

საუკუნეა, მაგრამ ოდესმე
ისევ შევხვდებით, ვიცი და მჯერა,
ოქროსწამიდან ჩემს ყურს ჩაესმის,
ფოლადნარევი, შენი ხმის ჟღერა.
ტკბილი სურნელი, ჯანსაღი ენის,
მე სველ ბაგეებს მიბუჟებს ჯერაც,

რა უძლურია აქ დრო და სივრცე,
რა ძლიერია აზრი და რწმენა!

გენ

შენ სალი კლდე ხარ,
 მიუვალი,
 მიუწვდომელი,
 მაღლა რომ მიდის
 და სადღაც შორს,
 ღმეთთან თავდება.
 შენ აფთარი ხარ,
 მძვინვარე და
 დაუნდობელი,
 თავისუფალი,
 იდუმალი,
 თანაც თავნება.
 შენ სანთელი ხარ,
 მოლაპლაპე,
 დინჯი და მშვიდი,
 საოცრება ხარ
 სამყაროსი,
 ათასჯერ შვიდი
 მე –
 ყველგან შენი თანამდევი,
 უცვლელი სული,
 მე ვარ სიცოცხლე,
 ვარ ღიმილი,
 ვარ სიხარული.
 ჩემი ხარ, ჩემი,
 მარტო ჩემთვის



შეგქმნა შენ ღმერთმა,
მეც შენთვისა ვარ
გაჩენილი,
მინდა იცოდე,

სამყაროში თვით
სიყვარულმა
თუ იარსება,
ჩვენ ერთმანეთის
სიყვარულში
უნდა ვიწვოდეთ!

სადახარ?

სადახარ?
ქარს მიაქვს ფოთოლი,
ხანდახან
მზეც არის და თოვლიც,
თანდათან
იცვლება ცა-მოლი,
კვლავდაკვალ
დაგყვება ამბორი.
ნატვრა ხარ,
მღერიან ქარები,
არჩანხარ,
გეძებენ თვალები,
მთა და მთა
ინთება ალები,
სადახარ?
ნუთუ მემალები?



თავთეთრი მნვერვალი

თავთეთრი მნვერვალი,
სახეა შენი,
შენსავით ჯანსალი
ღიმილი შვენის.
შენსავით მაღალი,
შენსავით მხარგრძელი,
მსოფლიოს უმაღლეს
მნვერვალებს გასცერის.
შენსავით ტურფა და
შენსავით სპეტაკი,
შენსავით იდუმალ
ძახილით მეძახის,
შენსავით აფრქვევს და
არ მაღავს გრძნობებს,
ვნატრობ შორეულს და
ხელმიუწვდომელს.
თავთეთრი მნვერვალი,
სახეა შენი.
მე მიხმობს,
მეძახის,
ღიმილი შვენის.

ასე მგონია

ასე მგონია, უცხო ხარ ჩემთვის,
არ მინახიხარ არასდროს არსად,
ან კიდევ, ჩემი ბავშვობის წლებში,
დაგკარგე, ხმელი ფოთოლის მსგავსად.
ჩამქრალა სხივი, გამქრალა ვნება,
და წარსულს პფარავს ხშირ-ხშირი ბინდი,
შენ შორს ხარ, შორს ხარ, ძალიან ჩემგან.
ცხოვრება მისი დინებით მიდის.
ასე მგონია, უცხო ხარ ჩემთვის,
აღარ შეგხვდები არასდროს არსად,
მგონია, გაქრი შენი ცხოვრებით,
ჩემი ყოფიდან, ძველ თოვლის მსგავსად.



სიყვარული და სიცოცხლე მინდა

სიყვარული და სიცოცხლე მინდა,
ღიმილისთვის ვარ ქვეყნად მოსული,
ზეცამ ღრუბელი გადაიწმინდა,
მთვარე არა სჩანს ჯერ ამოსული.
ღამის სიჩუმეს რა შეედრება,
ცა მოჭედილა ყვავილნარივით,
ღმერთო ისმინე ჩემი ვედრება,
ტანჯვა მაშორე უგნურ ნარივით.
მე ჩავჩურჩულებ ყურში ვარსკვლავებს,
ვარ ულრან ტყეში, მუხის ფოთოლთან,
თავზე მეღვრება კლდის ნაკადული,
ცუღლუტი სხივიც აღარ მომშორდა ! ...
სიყვარული და სიცოცხლე მინდა,
ქვეყნად მოსული ვარ ღიმილისთვის,
და ღამისთევით რომ არ დასრულდა,
გადავინახე ზოგიც დილისთვის.



* * *

მენატრები
და ქარს მიაქვს თოვა,
ალისფერი
დაშვებულა აფრა,
უვადოსაც
ყავლი გადის ლოდინს,
მოტივტივე
ნაფოტებად ფანტავს.
სიყვარული —
სალოცავი კერპი,
აღმაფრენა
ამიტაცებს მაღლა,
მენატრები,
უკვდავებას ვეტრფი,
შენთან, თავად
უკვდავება მახლავს.

* * *

რა თავბრუს მახვევს მარტის მზის სითბო,
წყნარი ხორუმი ფირუსულების,
გაუღენთილია ჰაერი თითქოს,
ქორფა იების ნაზი სურნელით.

გულ-მშვიდად სძინავთ ჩემ ტკბილ ახლობლებს,
კორდის ამ მწვანე საფარის მიღმა,
მათვის უცხოა მიწის სიმძიმე,
მიწა ბუმბულის სამოსელს მიჰვავს.

იქ ჭარისკაცის მოსჩანს ფარაჯა,
სამშობლოს დროშა უპყრია ავად,
ის საქართველოს უდგას დარაჯად
და თუ დასჭირდა, ბრძოლაშიც წავა!

აქ ცოცხალ წიაღს ჰეურავს საბანი,
მის სიგრილეში ვარდი იშლება,
სპეტაკ, კამკამა ნაკადულებში,
მარადისობა წვება ნისლებად.

არ ენატრებათ, დრო დგას, არ გარბის,
თვით სათნოება ჰყვავის ბალებად
და ისტორიის ბასრი მახვილი
ხალთაში ვეღარ დაიმალება!

ზღვა სინანულის მოქუხს მდინარე,
უკვდავება კი ფრთას შლის ედემად,
მარად ჭაბუკი რჩება, მძინარე...
დრო არ ბერდება! დრო არ ბერდება!!!

განშორების ძარი

თუ განშორების
უბერავს ქარი,
თუ ძვლებში გატანს
მისი სიცივე,
ელავს განგების
მახვილი ხმალი,
ვინ,
ბედისწერას
ვინ აიცილებს?!
თუ განშორების
დარეკავს ზარი,
და ტაიფუნი
ეწვევა სულებს,
თუ ბედისწერის
მწუხარე ქნარი
გედის სიმღერას
აქ დაასრულებს,
ტრფობას წამებულს
თუ უჩინარი
დაისის სხივის
დასწვავს ანთება,

ხმალთა სიმოკლე
მიზანს ვითა ცვლის?!
დაბადებულან
გოლიათებად!



ლამის ფრთხი

ცისფერი ლამის ვარდისფერ სიზმრებს,
მთვარეს, მონატეხს მჭადის,
აუხსნელ მიზეზს, დაღუპულ გრძნობას,
აუსრულებელ წადილს.
უსაზღვრო ტკივილს, კვლავ მარგალიტის
მძივებად ასხმულ ცრემლს,
დასაბამიდან გაუხარელი
საწუთროს მწარე ხვედრს.
ლამე უკუნი, გაუმჭვირვალეს
გადააფარებს ფრთხებს.
გაღმა-გამოღმა სოფელს თუ სძინავს,
სადღაც მურია ყეფს.
ლამე პირისპირს რჩება ფიქრებთან,
ფიქრიც ათენებს ლამეს,
გასაოცარი თანაცხოვრება
არ მახუჭინებს თვალებს.

გახსოვდეს

რა დაგემართა? წონასწორობას კარგავ!
ხომ არ ჩამოჰკურა საოცნებო რამ წამმა?
ხომ არ დაპბერა უდაბნოს თბილმა ქარმა?
ან უძლურივით იქნებ მიჰყვები წიაგს.
იქნება კარი გამიღე მე შენ მთვრალმა,
რამ დაგასველა, წვიმამ? ონკანის წყალმა?
რამ შეგაშფოთა, გამოღებულმა კარმა?
მე ვეღარ ჩავწვდი შენი გონების წიალს.
ჰოდა გახსოვდეს! როცა გშია და გცივა,
როცა სიყვარულს ნატრობ და გული გტკივა,
როცა ნაკვალევს ლუპით ეძებ და მისდევ,
მე გელოდები ისევ, ისევ და ისევ.



ჩემს სიყრმეს ვგლოვობ

ჩემს სიყრმეს ვგლოვობ, არ დავტირი გარდაცვლით
ცხედრებს,
მკვდართ, ამქვეყნიურ ამაოებათ ეხსნებათ ტვირთი,
ჭერება შვენით ფაფარაშლილ ულაყთა მხედრებს,
მარადისობის სამყაროსთან გადებულ ხიდით.
ყვავის, ბიბინებს წალკოტი და ედემი ვრცელი,
გადაშლილია უკვდავება უსაზღვრო სივრცედ,
ნუ გეშინია, გაპედე და შეახე ხელი,
შენ უკვდავებას შენს მეობას თვითონვე მისცემ!
ცრემლების ღვარი, მონაჟური შენი თვალების,
განიჭებს შვებას, ჩამორეცხს რა გულის იარებს,
აქ სამყაროთა შორის შენც ხარ პატარა ხიდი,
ჭირისუფალი შენი ხვედრის და მგლოვიარე.
ჩემს სიყრმეს ვგლოვობ, არ დავტირი გარდაცვლილთ
ცხედრებს,
მკვდარს არ სჭირდება ჩემი ცრემლი, ჩემი ტირილი,
მე ვეთხოვები უჩვეულო სამოთხის მხედრებს
და სინანული მადენს ცრემლებს, გულისტკივილის.

ნიღაპი

ნოსტალგიაა, საოცარი,
 გრძნობათ მარათონს,
 გამოურიყავს სილუეტი
 მჭმუნვარე სევდის,
 ასე ჭიდილში, უნებურად
 თავზე დამათოვს
 და სიკვდილის წინ, საბოლოოდ
 იმდერებს გედი.
 დრო რბის, დრო ელავს, გასაოცრად
 სწრაფად მოქმედებს,
 და ყველაფერი, ყველაფერი
 მის შედეგს ელის,
 დრო აარიგებს, ჩაარიგებს
 ძვირფას მონეტებს,
 ბევრს არასდროს არ მიუწვდება
 არცერთზე ხელი.
 ისმის მუსიკა, ხმაურია
 აურზაური,
 დრომ განურჩევლად გადასილა
 ყველა იარა,
 ქვიშამ, უხეშმა, ამოავსო
 ნაჭრილობევი,
 ეს ტკივილისთვის ნიღაბია,
 შვება კი არა.



შენ ხომ გგონია

შენ ხომ გგონია ქვას გული არ აქვს,
შენ ხომ გგონია არ სუნთქავს თითქოს,
ქვა უენოა, ტკივილებს მალავს,
ისე, სანაცვლოდ არაფერ ითხოვს.
ქვაა მგოსანი, ქვაა ფრთოსანი,
ყველა უენოს ხომ ქვას ადრიან,
ქვას ტკივილები შეუმსუბუქე,
მიუალერსე, დიდი მადლია.
ქვას სიყვარული ცრემლს ადენს ღამით,
თუ მას იხილავ დილაადრიან,
ქვა უენოა, ტკივილებს მალავს,
ყველა უენოს ხომ ქვას ადრიან!

სამყაროს არსი, სიცოცხლისთვის თავსამკაული,
ფიალა სავსე, ან დაცლილი მტლად საწყაული.

როცა

როცა ქარია და ზამთრის სუსხი,
 ფანჯრის მინაზე გრძნობებს შეჰყინავს,
 როცა ფეთქდება აპრილში ნუში
 მე უკვდავების ტაძარს შევდივარ.
 როცა სიცოცხლის მჩქეფარე ძარღვი
 ხმას შეუერთებს სამყაროს ძახილს,
 როცა ვიცი, რომ ვფეთქავ და ვსუნთქავ
 ძალა არ შემწევს ჯაფისგან დაღლილს.
 შენ მევლინები მხსნელად და რწმენად,
 როცა არ მყავდი, მაშინაც თითქოს
 თმის უკანასკნელ ღერსაც გათოშილს,
 ძალას აძლევდა ეგ ხმა და სითბო!



სიცოცხლე მარჩება

როდესაც ჩემი უძლურება შეერწყმის მიწას,
 მე არ გავქრები სიცოცხლეში სამ სახეს ვტოვებ,
 როცა სიკვდილი აქ ბილიკებს გადამინისლავს,
 მე გამოძახილს სიცოცხლისას — შვილებში ვპოვებ.
 და ერთის ნაცვლად სამი მე ვარ, სამი სიცოცხლე,
 სამჯერ მოვკვდები და ათასჯერ აღვსდგები მკვდრეთით,
 რადგან სიცოცხლე მეორდება და მეორდება,
 ხოლო სიკვდილი მხოლოდ კიბის საფეხურებს ცვლის.
 სიცოცხლე მიდის, ზეცას სწვდება სიმაღლე კიბის,
 დრო, უსწრაფესი ელმავალი, მირბის და მირბის,
 სიცოცხლის კიბე, მიწის ზევით რაც მოჩანს მარტო,
 ზეცისკენ მიდის და საფეხურს სიმრავლით ამკობს.

სიკვდილის გამო ამაოა მოთქმა-გოდება,
 რაგდან სიცოცხლე, სიცოცხლეშივე მეორდება!



მახრიობელაზოდი

ქარი კიბეს დაუნდობლად ახლის ჭიშკარს,
დრო გულს მიკლავს, სვამს უამრავ მტანჯველ კითხვას,
სად ხარ, ვისთან, რას აკეთებ, მოხვალ როდის...
მახრიობელად გადაიქცა ოქროს ზოდი.
ცივი ქარი ქრის და თითქოს დროს აჩქარებს,
გამალებით აბრახუნებს რკინის კარებს,
ღამეც ისე მონდომებით ბაგეს ხურავს,
გული თვითონ იქცა კიბის საფეხურად.
ფიანდაზად გაგეგება გზად და ხიდად,
სადაც გინდა, როცა გინდა, როგორც გინდა,
გევედრები, მომაშორე მძიმე ლოდი,
მალე მოდი, ოლონდ მოდი, ოლონდ მოდი!

ეს სტიქიაა

ეს სტიქიაა, წარსულშია მისი ფევები,
ხოლო არენა მომაგონებს უსაზღვრო ტრამალს,
ღრმად მონატრების უფსკრულებში როცა ვეშვები
და რეალობა მოგონების სურათებს შხამავს,
ეს სტიქიაა, მინდა სინით მოგიძლვნა თავი,
მთელი სხეული ასო-ასო ავქნა ნაჭრებად,
ჩემი სიცოცხლე იყოს შენი თავსამკაული,
თუნდაც თმის შენი ერთი ღერის გადასარჩენად.
ეს სიგიჟეა, ეს ლტოლვაა, მძლავრი ნაცადი,
მთის თავანკარა ნაკადულის გიჟი ჭენება,
ეს წყურვილია, თავანყვეტა ველურ ფაშატის,
არაბუნებრივ მონატრების თავდამშვენება.



მინატრეპი

მენატრეპი,
და ქარს მიაქვს თოვა,
ალისფერი
დაშვებულა აფრა,
უვადოსაც
ყავლი გასდის ლოდინს,
მოტივტივე
ნაფოტებად ფანტავს.
სიყვარული,
სალოცავი კერპი,
ალმაფრენა
ამიტაცებს მაღლა,
მენატრეპი,
უკვდავებას ვეტრფი,
შენთან, თავად
უკვდავება მახლავს!

ნისლის ფარდა

სალამოა,
ნისლის ფარდა,
ჩამოეშვა ციდან,
თან ჩამოჰყვა
ანგელოზი,
მხარზე დამაფრინდა.
მე გავვოცდი,
მაგრამ მეტად,
გაუკვირდათ ძლიერ,
რატომ არის
ამ დროს კენჭად?
(თავს ვერ მოვერიე)
— სად წავიდა?
— მასთან არის,
მთელი ღამე რჩება.
ცრემლი მახრჩობს,
ნისლის ფარდა
დაფლეთილა ჩვრებად.



თბილისო!

თბილისო, ჩემი ქვეყნის მშვენებავ,
დიდებავ ჩემი ხალხის და მიწის,
ჩემო ოცნებავ და გახსენებავ,
შენით ვენთები და შენთვის ვიწვი.
სითბო გულისა მოსჩქეფს ლეგენდად,
არსად ნახულა მსგავსი ზმანება,
ტურფა სავანეს კრძალვით შეგბედავ,
მსურს შენს კალთებზე გარდაცვალება.
სულს უხმობს მტკიცედ სიწმინდის ზარი,
ქვაშუეთი თუ დედა სამება,
მუხლი მაგარი და რწმენა მყარი,
უძლეველობა და უკვდავება.
დუდუნებს მტკვარი, ფხიზლობს მთაწმინდა,
დუდუკის ხმაში ჩასთვლემს ხარფუხი,
ქართვლის შვილების დედავ და ძიძავ,
ცა და მიწა გაქვს ორივ ნაკურთხი!

თავგიში ოცნება

თავგიში ოცნება როდესაც ახდება,
 როცა შესრულდება კანონი ბუნების,
 როცა სიყვარული გულიდან მოსწყდება
 და შეერთდებიან მთრთოლვარე გულები,
 როცა სიყვარულის მერანი იჭენებს,
 როცა იღვენთება გრძნობები ულევი,
 როცა სიყვარულით კაცი გულს იჯერებს,
 როცა თავს გაყრია ზღვა თაიგულები,
 ზეცაში დაფრინავ და კრეფავ ვარსკვლავებს,
 ღრუბლებთან ნავარდობ, ევლები თავთავებს,
 როს ნაზი გრძნობების გახარებს აღლუმი,
 როცა ცისარტყელას ღიღინით ჩაუვლი,
 ვერცხლისფერ შადრევნებს თავებს რომ გიხრიან,
 დაჰყურებ, ჰგონიხარ ზღაპრული ფიფქია,
 ამ ნაზი გრძნობების შენშია სათავე
 და ხელთ შენ გიპყრია გრძნობათა სადავე!



თავფურცელი

მე შემოგწირე, რაც კი მებადა,
დაუნანებლად, ვიყავ გულწრფელი,
ბოლომდე შესვი ჩემი ხელადა,
გადაიკითხე სულ თავფურცელი.
ფეხი რბილად რომ დაადგა მიწას,
ნოხად გიგია ჩემი სხეული,
სველ ბალახში რომ თითები გიჩანს,
იქაც მე ვწევარ, სულდანთხეული.
რომ არ შეგცივდეს — ქარს ვეღობები,
რომ არ დასველდე — არ ვდგევარ უქმად,
რომ არ მოგწყურდეს — წყაროდ ვიქცევი,
რომ არ მოგშივდეს — ვიქცევი ლუკმად.
მე შემოგწირე, რაც კი მებადა,
დაუნანებლად, ვიყავ გულწრფელი,
ყველაფერს ვამბობ, მაგრამ რატომღაც,
რაღაცა მრჩება მაინც უთქმელი.

სად მთავრდებიან

სად მთავრდებიან, ვინ ნახა ნეტავ,
 ლალი ბავშვობის სულტკბილი წლები,
 როდის გადაგვსხმს კალთიდან დედა,
 თვითონ დიდები როდისლა ვხდებით?
 როდის ეღება ოცნებას ბოლო?
 ჩამოვარდება ვარსკვლავი ციდან,
 როდის აღარ ვართ თითისტოლები,
 ცეროდენები, ან თითოციდა.
 მოულოდნელი, დაუნდობელი,
 როდის ჩაგვიკრამს გრიგალი გულში,
 უბინობის ნათელი სხივი,
 გვაცისკროვნებდა ჯერ კიდევ გუშინ.
 ვინ იცის სად დევს დიდი სამანი,
 რომელიც გაპყოფს სიცოცხლეს ორად,
 იქით ბავშვობა გვიღიმის ლალი,
 აქეთ დიდობის მარწუხთა გორა.



მზის დაპირება

ცეცხლის მფრქვეველი მნათობი
გადაქცეულა ბურთად.
დახუჭული აქვს თვალები,
მარტო ღიმილი უჩანს.
მონატრებია სხივები
ზღვას, მდინარეს და ქუჩას!

* * *

ასაკოვან მუხლებს
ჩასდგომია წყალი.
დუღილს რომ ვერ უძლებს –
ქვევრს უჩნდება ბზარი!

ერთადერთი წამი

რა კარგი ხარ, რა კარგი,
თბილი, ტკბილი ძალიან,
ცხოვრებაში ძვირფასი
ერთადერთი წამია.
შენმა ლურჯა ცხენებმა,
იჯირითეს გეგუთი,
ქვეყნად ერთი წამია
და ისიც შენ გეკუთვნის!
რა კარგი ხარ, რა კარგი,
მენატრები ძალიან.
ქვეყნად უძვირფასესი
სწორედ ერთი წამია!



* * *

სიყვარული - ღირსეულთა ხვედრა მხოლოდ.
ულირსს სიყვარულს ვინ აღირსებს ბოლოსდა ბოლოს!
ან როგორ გინდა შეაფასო უცნობი ხილი,
როგორ შეიკრავ საკინძეს, თუ არ სწვდება ღილი?

* * *

თავის თავზე დიდი მტერი,
კაცს არა ჰყავს ქვეყნად ვფიქრობ,
კაცის გული ქვევრში ბზარი
რაც მეტს იღებს, მით მეტს ითხოვს!



* * *

სამყარო არის აზრი ცოდნა და რწმენა,
სამყარო სარკე, ანარეკლი და მე ვარ!
სამყარო არის აღმაფრენა და ღელვა,
ჩემი სამყარო - მე ვარ, მე ვარ და მე ვარ!!!

* * *

ძირ გავარდნილ ქვევრს ჰგავს
ხარათი კაცის.
გულს აჩუქებ ის კი -
სულს უტკბილეს გაცლის!



საერთსკაცო მოტივები

მზე, მთვარე და ვარსკვლავები,
და პატრუქი ერთი ციდა,
არ დარჩება ნაკვალევიც,
გაიცემა ვიზა ციდან.
მორაკრაკე ნაკადული,
მოხვეული ყურებს ჩალმა,
დარჩენილან გულნაკლული,
წარიტაცა ცეცხლი ქარმა.
ვაზის ძირში ნარწევ აკვანს,
ვეფხვისა და მოყმის ნაბრძოლს
შვილებისთვის თვითონ ვქარგავთ,
ვმღერით, რომ არ დაიკარგოს.
რომ სწორია ძუ და ხვადი,
ხან სიცოცხლეს სჯობს სიკვდილი,
გაიზრდება ალგეთს ლეკვი,
ბოროტს მიაქვს ჩვენი ჭირი.
რომ სიკვდილს ვერ შეაჩერებ,
ვერც სიცოცხლეს მოსდებ ლაგამს,
რომ იქ განძად დაგიხვდება,
რასაც გასცემ, ან დაპეარგავ.
რომ კეთილი ძალავს ბოროტს,
რომ ტყუილი არის გონჯი,
რომ ერთია ყველას ბოლო,
ვიზომებით ერთი გოჯით.
თავს ვევლებით არწივს, დაჭრილს,

ვით მერანი, ტატოს ჰუნე,
სულს იტაცებს ველად გაჭრილს,
უახლესი საუკუნე!
აქ იზრდება ერის კაცი,
ქმნად მართლისა თრგუნოს ჭირი,
და შუქსა ჰელენს აწმყოს მუდამ,
შუქნაკლულიც, მისი ჩრდილი.



ღმართს დავშორდით

იყო მთვარე და ვარსკვლავთ ციალი,
იყო დრტვინვა და შრიალი ხეთა.
იყო ფართა და ხმალთა ჟღრიალი.
და სისხლიანი ჯვარი და მცხეთა.
იყო კრწანისი, იყო დიდგორი,
იყო დასჯა და ნამება ტყვეთა,
იყო სისხლი და იყო სიკვდილი
მაგრამ მართლები ვიყავით ღმერთან.
და ჩამავალი მზის ელვარება
ლრუბელს ავლებდა უნაზეს მაქმანს.
და განთიადის წმინდა ღვთაება
საოცრებათა ბადეს ქსოვს ახლაც.
მთები დევები მხარჩახვეულნი,
ცაზე ნაცნობი ვარსკვლავთერებულნი,
ზაფხულ-ზამთართა შრომა მრავალი,
და თაობები მავან მავანი.
დრო და სვლა სივრცის,
რაც დროში იწვის.
უკან არასდროს აღარ ბრუნდება.
ან გარდასული სურნელი მიწის,
ცას ეფინება ქულათ გუნდებად.
ქუხს ქვაშუეთი და ქუხს სიონი,
გვიმზერს შოთა და გალაქტიონი,
და ღვთისმშობელის ნაკურთხი კალთა
კვლავაც გვიფარავს უფსკრულის კართან.
იყო მარაბდა, იყო შამქორი
გვემუქრებოდა ერის ჩაქოლვით,
გადავრჩით რადგან ვიყავით ერთად

როცა მართლები ვიყავით ღმერთან.
 გვყვა მეფეთ-მეფე ჩვენი თამარი,
 სადარი მთვარის, სადარი მზისა,
 ვის ჩაითრევდა ბედი ფრთამალი
 არ შერჩებოდა სისველე რძისა.
 და მეფეთ-მეფე ჩვენი დავითი
 შეუდარები, პრომეთეოსი,
 ნიკოფილიდან დარუბანდამდე
 მძლე ერთიანი საქართველოსი.
 და ანათებდა მზე საოცარი,
 ყვაოდა ტყეში რკო და მოცხარი,
 და ქართველ ქალთა ქართველქალობა
 საფიცრად ჰქონდა მრავალ თაობას.
 როგორ გუგუნებს ცა და ხმელეთი:
 ძმანო შეერთდით! ძმანო შეერთდით!
 რომ გამარჯვება გრგვინავდეს მტერთან.
 ვიყოთ მართლები ჩვენივე ღმერთან.
 როდის დავინინდით დაგვეცა მეხი,
 რამ დაგვაშორა მოყმე და ვეფხი,
 სამშობლოს დროშა მიგვქონდა ფარად,
 ღმერთან ვიყავით მარად და მარად.
 სად ჩაიკარგა ის იავნანა,
 ცით აღარ მოდის ჩვენი მანანა,
 რად გვეტანება სენი და კერპი.
 სად დავაშავეთ ან როდის შევცდით.
 ღმერთი ვადიდოთ, ვიყაროთ მუხლი,
 ვერრას დააკლებს ბერმუხას მუმლი!

დაპრკოლება

გნატრობ, გნატრობ, სადა ხარ?
დუმს უძრავი კარები.
დარჩენილა კარს მიღმა
გულში ნაიარევი.
იქნებ შენს თავს მაშორებს
სივრცე, ზღვა დაულევი,
იქნებ უკვე მოგიძლვნეს
გულთა თაიგულები.
იქნებ მზემ შეგაცდინა,
იქნებ მთვარე გაცდუნებს,
იქნებ ცეცხლის ალს უცდი
როდის გაიტკაცუნებს!
ვფიქრობ შურით შროშანებს
დაბრეციათ თვალები,
უნდათ თმებით დაფარონ
შენი ტერფონაკვალევი!
ან რატომ ქარს არ უსმენ,
რატომ წვიმის არ გესმის,
რატომ მტოვებ მარტოსულს
შენი ნატვრით დაგესლილს?
მენატრები ძალიან!
ან როდემდე გიცდიდე?!
ამ ნატვრაში ძვირფასო
სულმთლად გამოვიფიტე!
არ ჩანს შენი ლიმილი...
ო, რა დასანანია!
შემიფარე კალთის ქვეშ
ღვთის მშობელო მარიამ!

მე და დრო და ქარი

ქარი მიხმობს,
 ქარი მეძებს
 ქარი ხელებს მიწვდის.
 ქარი ბრაზობს
 ყოვლის შემძლე
 ბმა ზეცის და მიწის!
 აბეზარი, ახტაჯანა,
 ულმობელი, გრილი
 გულგალელილს,
 საკინძეზე აწყვეტია ღილი.
 მწველ-ბობოქარ
 გრძნობებს გულში
 რა გულდაგულ მალავს,
 მიდგა-მოდგა, დატრიალდა,
 გადაიქცა ძაბრად
 შფოთავს, ბრაზობს,
 დაზუზუნებს,
 ხან უმწეოდ კვნესის.
 სად არ იყო, რა არ შეძლო,
 რა შემორჩა ხელში?!
 როგორ ვგავართ
 ტყუპი ძმები:
 მე და დრო და ქარი,
 წარსულისა წარუშლელი
 რჩება ყოფის კვალი!!



მაჯამა

ორლობეში მაჭრის სურნელს,
ჩიტუნების უღურტულს,
დატვირთული ურმის ჭრიალს,
ღრუტუნებს ღრუტუნს,
ჭერის ჭრილის ჭუჭრუტანის,
მჭლე ჭინჭრაქის ჭრიჭინს,
და ფეხსაცმელის ლანჩის ჭრაჭუნს...
გვიჭირს, გვიჭირს, გვიჭირს!
აფეთქებულ ატმის ტოტან,
ტოროლების ტრიალს,
გაშიშვლებულ სულში ჩანგის,
შალაშინის შრიალს,
წინილების წიავ, წიავს,
წიწვის მწვანე წვეტებს,
წიწამურის წიიალს წასულ
სისხლის წითელ წვეტებს.
დევგმირების სადიდებელ
დარუბანდის დირეს
გაუმეტებ გმირთა გვამებს,
გარდაუცვლელ გმირებს,
ლანდშაფტებში ლელიანში,
ლილიანას ლოდინს,
ქვეყანას თუ ქომაგი სურს –
ქუდზე ქალიც მოდის!!!



სარჩევი

ჩემს შვილებს	3
დარდი	4
ამირან!	5
იდუმალება	6
მელოდია ტყის	7
გზა	8
კავშირი	9
როცა რამე გწყინს	10
ნუშის სუნთქვა	11
არსი	12
იმერეთი	13
ფარდის მიღმა	14
ხანდაზმულობა	15
* * * მარტობისთვის	16
ქეთიას	17
ბუჯა	18
მეზღაპრე მთვარე	19
შენი სურათი	20
როცა მარტო ხარ	21
ნუთისოფლის ეტლი	22
დავით მჭედლურს	23
დამდევს და მიცდის	24
განთიადი	25
ქედმალალ ქამნამებს	26
სად ხარ, სად?	27
შენ ვინ დაგაჯერა	28



პაემანი ცაში	31
* * *ქროლვა, ეფემერების	32
მენატრები	33
გელოდი	34
უცხო ჩვენება	35
დაისი	36
* * *სულ ამაოა	37
* * *მუდამ გამოცდას	37
* * *რა დედამ გშობა	37
მე რომ ვუყვარდე	39
თვალს არ ვახელ	40
ქარი	41
ციდან მოვედი	42
შესაწირი	43
მე ფურცელი ვარ	44
მე და დრო და მე და სივრცე	45
ჩქეფლეს სიცოცხლე!	46
გალაკტიონს	47
ეს კვირაც გაივლის	48
ჩემი ოთახი	49
ქვათა სიმფონია	50
მოგონება	51
მიხმე და მოვალ	53
სად მთავრდებიან	54
მონატრება	55
დროც კი მელოდება	56
შენი გულის გულებით	57
კრძალვით	58



ერთად ვიყავით	59
კონტრასტები	61
თვრამეტი წლის ხარ	62
ირინას	63
რატომ მგონია	64
ელვა	65
მთვარე მთვარეულა	66
ჩემი მონატრება	67
როცა	68
ნინოს!	69
სად იყავი აქამდე	70
მღერის მტკვარი	71
მართლა ასეთი ხარ?!	72
სიმდიდრის წყარო	73
შენ საქართველოვ!	75
უცხოდ შორეულ	77
თავისუფალი ყოფის რეჟიმი	78
იყიდება სიცოცხლე	79
შედარება	80
შენთან და შენით	81
* * *ანი-ბანი	81
ძალიან ძვირფასი	82
აკაკი	83
ვიღაცა ყვირის	84
გიო, მარი	85
ბედის ვარსკვლავი	86
ქეთი, მარი, გიო, ანა	87
მზის ჩასვლის შემდეგ	88



ამირანისთვის	89
არ მოვიდოდი	91
ქალის გული	92
ბუნება	93
შეხვედრა	94
მინდა გიყვარდე	95
ქეთი – მარი	96
დრო მკურნალია	97
მელიქიშვილზე	98
ოცნებათა მორევში	99
შეგონება	100
ოცნება	101
განგაში	102
როცა მარტო ხარ	103
* * * არ ყოფილიყო ქვეყნად სულელი	103
შეგუება	104
დედას	105
* * * ტრიალებს ბედის ბორბალი	106
ღამის სუნთქვა	107
მარიამ წიკლაურს	108
Мы да ночь	109
Быть, или не быть!	111
Поцелуй меня!	112
Звезда мечты	113
Высшее чувство	114
ვარდის სუნთქვა	115
ბაქანზე	116
ნუთისოფელი	117

ჰიმნი სამშობლოს	118
ქარი ფანტელს ერეკება	119
ჩატეხილი ხიდი	120
დრო	121
კაცხის სვეტი	123
ტალღებთან	124
მზერა	125
იმედი	126
* * *ვერრას მაკლებს კაეშანი	127
* * *ჩემი ხალხია	128
ფოთოლი	129
სანთელი	131
მონოლოგი	132
დამდევს და მიცდის	133
გნატრობ, გელი	134
შერეული ცეკვა	135
მენატრები	136
ნუ დამტოვებ	137
* * *საუკუნეა, მაგრამ ოდესმე	138
შენ	139
სადახარ?	141
თავთეთრი მწვერვალი	142
ასე მგონია	143
სიყვარული და სიცოცხლე მინდა	144
* * *მენატრები	145
* * *რა თავბრუს მახვევს მარტის მზის სითბო	146
განშორების ქარი	147
ღამის ფრთები	148



გახსოვდეს	149
ჩემს სიყრმეს ვგლოვობ	150
ნიღაბი	151
შენ ხომ გგონია	152
რწმენა	153
სიცოცხლე მეორდება	155
მახრინბელა ზოდი	156
ეს სტიქიაა	157
მენატრები	158
ნისლის ფარდა	159
თბილისო!	160
თავგიჟი ოცნება	161
თავფურცელი	162
სად მთავრდებიან	163
მზის დაბნელება	164
* * *ასაკოვან მუხლებს	164
ერთადერთი წამი	165
* * *სიყვარული - ღირსეულთა ხვედრა მხოლოდ	166
* * *თავის თავზე დიდი მტერი	166
* * *სამყარო არის აზრი ცოდნა და რწმენა	167
* * *ძირ გავარდნილ ქვევრს ჰგავს	167
საერისკაცო მოტივები	168
ღმერთს დავშორდით	170
დაბრკოლება	172
მე და დრო და ქარი	173
მაჯამა	174